MES 3 20 0000750239

31/08/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 14.08.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:06სთ
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა
საბჭოსმდივანი: ნიკა თინიკაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **დიმიტრი გეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - სხდომის თავმჯდომარე;
2. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
3. **მანანა კევლიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
5. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
6. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
7. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
8. **პაატა ბრეკაშვილი -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;

9. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
10. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
11. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი;
12. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
13. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;
14. **რომეო გალდავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქეთევან თელია	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	ნინო შიოშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი
3	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	გაიოზ ფარცხალაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი	I
2	ზურაბ მეგრელიშვილი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, „ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
3	დავით ჩხაიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, „ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I

4	გოჩა ჩავლეიშვილი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
5	ირაკლი შარაბიძე	სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	რექტორი	IV
6	ირაკლი კაცაძე	სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	რექტორის პირველი მოადგილე	IV
7	აბდულ კახიძე	სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში	IV
8	ნინო ყურშუბაძე	სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
9	რუსუდან ყიფიანი	სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	ნავიგაციის ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი	IV
10	ალექსანდრე ცეცხლაძე	სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	ნავიგაციის ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი	IV
11	თეონა ძნელაძე	სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	პროექტების მართვის, ინტერნაციონალიზაციის და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტის უფროსი	IV
12	ზურაბ ბეჯანოვი	სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	ნავიგაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
13	ლეილა აწყვერელი	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V
14	ნანა ყიფიანი	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი	V
15	ხათუნა თოდაძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ვიცე-რექტორი	V
16	დავით თოფურია	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანი	V
17	ირინე კვაჭაძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V
18	კახა შენგელია	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი	VI
19	ნუგზარ სხირტლაძე	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში	VI

20	დიანა მჭედლიშვილი	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	VI
21	გიორგი მახარაშვილი	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის დეკანი	VI
22	თენგიზ ვერულავა	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	VI
23	ქეთევან ჯინჭარაძე	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VII-VIII
24	თეიმურაზ ტორონჯაძე	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	ბიზნესის სკოლის დეკანი, პროფესორი	VII-VIII
25	თამაზ უზუნაშვილი	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	ბიზნესის სკოლის დეკანის მოადგილე, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	VII-VIII
26	მაია გონაშვილი	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	მიმართულების ხელმძღვანელი	VII-VIII
27	რაულ აგიკიანი	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	პროფესორი	VII-VIII

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ინგა ბოჭოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	თეიმურაზ ბარაბაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ლარისა პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	თამარ ღუღუნიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ქრისტინე რზგოევა	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
6	გივი სანაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
7	გურამ პოპიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	თამარ ლომიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
9	ვერა ხუნძაკიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
10	ნანა ციცქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
11	მარიამ აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
12	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI- VII - VIII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა

უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27[5]-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სახდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ნავთობისა და გაზის მოპოვების ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „საზღვაო ნავიგაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "ჯანდაცვის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

სხდომის მიმდინარეობისას ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს სხდომაზე დააყენა ორი შუამდგომლობა. შესაბამისად საბჭომ ერთხმად დაამტკიცა შეცვლილი დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ნავთობისა და გაზის მოპოვების ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. საბჭოს მიერ 2020 წლის 31 ივლისიდან დღემდე მიღებულ აკრედიტაციის ან პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრასთან დაკავშირებული შუამდგომლობის განხილვა;
3. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს - კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის, "ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" 2020 წლის 12 მარტის N31 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
4. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „საზღვაო ნავიგაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "ჯანდაცვის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;

7. შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ნავთობისა და გაზის მოპოვების ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიაში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ფიროსმანის ქ.N12.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ განმარტა, რომ ვიზიტი განხორციელდა 23 ივნისს. ექსპერტთა ჯგუფი, დღის წესრიგის შესაბამისად, შეხვდა დაწესებულების წარმომადგენლებს, ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ

პერსონალს, მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს. მათ დაათვალიერეს ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სადაც აღნიშნული პროგრამის განხორციელებაა დაგემილი, ასევე დაწესებულების და ფაკულტეტის ბიბლიოთეკები და შემოწმდა პროგრამის შესაბამისი რესურსები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტი თანამშრომლობით და კონსტრუქციულ გარემოში მიმდინარეობდა, მათ არ ჰქონიათ პრობლემა დოკუმენტაციის მიწოდებაზე და ვიზიტის ბოლოს გააცნეს მიგნებები დაწესებულების წარმომადგენლებს. გარდა სტანდარტებთან შესაბამისობისა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა წარმოდგენლია, როგორც ახალი, თუმცა ის შეიქმნა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის „სამთო და გეოინჟინერიის მოდერნიზების“ საფუძველზე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის „ინჟინერიის ბაკალავრი ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგებში (0724)“, კრედიტების მოცულობა შეადგენს 240 კრედიტს.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციდან და მიზნებიდან გამომდინარე რეკომენდაციები ეხება სასწავლო პროგრამაში რამოდენიმე საგნის დამატებას ან/და მოდიფიცირებას, კერძოდ:

პროგრამის მიზნებში ძირითადად განსაზღვრული იყო, ის ცოდნა, რასაც პროგრამა მისცემს კურსდამთავრებულებს, თუმცა უნარებთან მიმართებაში იყო ზოგადი ჩანაწერი და შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია, რომ პროგრამის მიზნებში განისაზღვროს ის უნარები და კომპეტენციები, რომლის მიღწევაც არის დაგეგმილი პროგრამის კურსდამთავრებულთათვის; პროგრამის მიზნების განსაზღვრისას იყო სხვადასხვა ჩანაწერი პროგრამაში და თვითშეფასების ანგარიშში, შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია, რომ პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და თვითშეფასების ჯგუფმა გამოასწოროს ის შეუსაბამობები, რომლებიც უკავშირდება პროგრამის მიზნების განსაზღვრას;

პროგრამა ითვალისწინებს 2 კონცენტრაციას (თითო 15 კრედიტი), თუმცა კლასიფიკატორის შესაბამისად არ იყო გაწერილი კონცენტრაციების სწავლის შედეგები, თუმცა გარკვეული თვალსაზრისით ამ კონცენტრაციების სწავლის შედეგები ძირითად შედეგებში იყო ასახული, გაიცა რეკომენდაცია, რომ გაიწეროს პროგრამაში გათვალისწინებული კონცენტრაციების სწავლის შედეგები, შესაბამისად 1.1 ქვესტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, ხოლო 1.2 კი ნაწილობრივ შესაბამისად, საბოლოოდ პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი. პროგრამის სწავლის შედეგებში, პირველი სტანდარტის 1.2 ქვესტანდარტთან მიმართებაში, გაიცა რეკომენდაცია, რომ აისახოს ის ცოდნა და უნარები დეტალური სფეროს აღწერის შესაბამისად, (ნავთობის და გაზის მარაგების შეფასება), რომლებსაც პროგრამა, სასწავლო კურსების და შესაბამისი თემატიკების გათვალისწინებით, რეალურად აძლევს კურსდამთავრებულებს, ექსპერტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ შეიძლება ტექნიკური საკითხი იყოს აღნიშნულის არ ასახვა ძირითადი პროგრამის შედეგებში, თუმცა ეს საკითხი აღნიშნული სფეროსთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

მეორე სტანდარტთან მიმართებაში 2.1 ქვესტანდარტი, დაშვების წინაპირობა იყო შესაბამისი მოთხოვნებთან და აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტებს არ ჰქონდათ რეკომენდაციები და რჩევები. 2.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსი, აღინიშნა, რომ პროგრმა მოიცავს 240 კრედიტს, 150 კრედიტი არის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები, მათ შორის 111 კრედიტი არის სავალდებულო, 9 კრედიტი - არჩევითი, ასევე არის ორი 15 კრედიტიანი არჩევითი კონცენტრაცია, 10 კრედიტი - საბაკალავრო ნაშრომი და 5 კრედიტი - საწარმოო პრაქტიკა, პროგრამაში გათვალისწინებულია „მაინორ“ პროგრამა. ექსპერტის განმარტებით პროგრამის შინაარსი და მოცულობა შესაბამისობაშია სწავლების საფეხურთან, პროგრამა აგებულია კანონმდებლობისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვით, განსაზღვრავს ცოდნის შეძენას

მარტივიდან რთულისაკენ და უზრუნველყოფს შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. მიუხედავად ამისა, კომპონენტების დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით არის გარკვეული უზუსტობები, კერძოდ, პროგრამაში მითითებულია, რომ საწარმოო პრაქტიკას არ აქვს წინაპირობა, ხოლო სილაბუსში წინაპირობად განსაზღვრულია არჩევითი სასწავლო კურსი ერთ-ერთი არჩევითი კონცენტრაციიდან. ასეთივე პრობლემაა საბაკალავრო ნაშრომთან მიმართებაში, პროგრამაში წინაპირობად ამ შემთხვევაშიც განსაზღვრულია არჩევითი სასწავლო კურსი („ტერმინალების ექსპულატაცია“); სასწავლო კურსს „ნავთობის და გაზის ქიმიას“ წინაპირობად პროგრამაში მითითებული აქვს არჩევითი სასწავლო კურსი „ნავთობქიმიის საფუძვლები“, თუმცა სილაბუსი განსხვავებულ წინაპირობას განსაზღვრავს; „სითხის და აირის გამოყენებით მექანიკას“ პროგრამის მიხედვით არ აქვს წინაპირობა, ამ სასწავლო კურსის წინაპირობა შეიძლება იყოს „თეორიულ მექანიკა“; ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი საგნების კონცენტრაცია - „ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზის ტრანსპორტირების“ შემადგენელ სამივე სასწავლო კურსს წინაპირობად განსაზღვრულია სასწავლო კურსი „ნავთობისა და გაზის შეკრება, მომზადება და ტრანსპორტირება“, რომელიც მეორე არჩევითი კონცენტრაციის „ნავთობისა და გაზის ინჟინერიის“ ბლოკში შედის. არის შეუსაბამობები ძირითადი და დამატებითი პროგრამის ერთი და იგივე სასწავლო კურსების წინაპირობებს შორის („ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ხარისხის კონტროლი და სერტიფიცირება“). „ნავთობისა და გაზის შეკრება, მომზადება და ტრანსპორტირება“, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა ერთ-ერთ ძირითად საგნად მიიჩნია, შეტანილია არჩევითი საგნების სიაში. ასევე აღინიშნა, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მიწისქვეშა გაზსაცავების საკითხებს.

გამოიკვეთა, რომ პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსის ფორმირებაში მნიშვნელოვანი იყო დაინტერესებული პირების ჩართვა, მათ შორის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა. ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომ სასწავლო გეგმებსა და სილაბუსებში გასწორდეს დაშვების წინაპირობები. 2.3 ქვესტანდარტთან მიმართებით, სასწავლო კურსებთან დაკავშირებით, სწავლის შედეგები ძირითადად შესაბამისობაში იყო პროგრამის სწავლის შედეგებთან, მაგრამ იყო სასწავლო კურსებში ისეთი სწავლის შედეგებიც, რომელსაც შესაბამისი სასწავლო კურსი ვერ უზრუნველყოფდა. სასწავლო კურსის შინაარსი სწავლის შედეგებთან მიმართებაში აღმოაჩინეს გარკვეული უზუსტობები. კერძოდ, სასწავლო კურსის „გეოფიზიკური კვლევები და სარეწაო გეოფიზიკა“ სწავლის შედეგი ითვალისწინებს ცოდნას „გეოლოგიური ძიების სფეროში სახელმწიფოს და კერძო კომპა-ნიე-ბის მიერ გატარებული/გასატარებელი ღონისძიების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ“, აღნიშნული კურსის შინაარსი ვერ უზრუნველყოფს სწავლის ამ შედეგის მიღწევას; სასწავლო კურსებს „მათემატიკა ინჟინრებისთვის 1-ს“ და „მათემატიკა ინჟინრებისთვის 2-ს“ აქვს ერთი და იგივე მიზანი და სწავლის შედეგი, რაც არ არის შესაბამისობაში კურსების შინაარსთან; სასწავლო კურსის „თბოტექნიკა“ შედეგი, „აქვს სამთო და გეოინჟინერიის სავალდებულო საგნების პრაქტიკაში გამოყენების უნარი“, არ არის აღნიშნული სასწავლო კურსის მიზანი, სასწავლო კურსში ისწავლება თერმოდინამიკის კანონები, რომლებიც ასევე ისწავლება „ფიზიკის“ სასწავლო კურსშიც; სასწავლო კურსის „შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“ დასახელება განსხავდება სილაბუსში მოცემული დასახელებისგან. კერძოდ, სილაბუსში მითითებულია „შრომის უსაფრთხოება ნავთობის მიმართულებით და საგანგებო სიტუაციების მართვა“. აღნიშნულ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში გაწერილია, რომ „შეუძლია წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტა, რისკის შეფასება, გარემოზე ზემოქმედების შეფასება, უსაფრთხოება“, სასწავლო კურსის შინაარსი არ ითვალისწინებს არც რისკის შეფასების და არც გარემოზე ზემოქმედების საკითხების შესწავლას. ექსპერტთა აზრით აღნიშნული სასწავლო კურსი მნიშვნელოვანია, ვინაიდან მესამე დონით გადის პროგრამის სწავლის ორ შედეგზე; სასწავლო კურსისთვის „ეკოლოგია და გარემოს დაცვა“, რომელიც პროგრამაში დამსაქმებლების აზრის გათვალისწინებით ჩაისვა, (ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამსაქმებლებთან ინტერვიუზე

დადასტურდა აღნიშნული სასწავლო კურსის მნიშვნელობა პროგრამის კურსდამთავრებულთათვის), გამოყოფილია მხოლოდ 2 კრედიტი (საკონტაქტო - 20 საათი: 15 საათი ლექცია, 5 საათი პრაქტიკული მეცადინეობა და 3 საათი გამოცდებისთვის მომზადება). აღნიშნული სასწავლო კურსი სხვა მნიშვნელოვან სწავლის შედეგებთან ერთად, ითვალისწინებს - „შეუძლია საწარმოო ნარჩენების უტილიზაციისათვის საჭირო სქემების შერჩევა.“ კურსის შინაარსი ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევას.

თითოეული კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა ადეკვატურია. საწარმოო პრაქტიკის 125 საათიდან (5 კრედიტი) ყველა მითითებულია საკონტაქტო საათად, თუმცა 3 საათი არის შეფასებისთვის. ვინაიდან, სტუდენტი დამოუკიდებლად მუშაობს პრაქტიკის ანგარიშზე, ეცნობა გარკვეულ ლიტერატურას, აუცილებელია დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებაც. თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ საუდიტორო მუშაობიდან საათების მნიშვნელოვანი წილი ეთმობა პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მუშაობას. პროგრამისა და შესაბამისი სილაბუსების მიხედვით, ძირითადი საკონტაქტო საათები ეთმობა სალექციო და ჯგუფებში მუშაობას. ლაბორატორიულ და პრაქტიკულ სამუშაოებს ითვალისწინებს 8 სასწავლო კურსი 45-დან.

სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება კურსის შინაარსს, თუმცა ზოგიერთი სასწავლო კურსის შემთხვევაში მითითებულია მოძველებული ლიტერატურა. არის შემთხვევაც, როდესაც სასწავლო კურსის საკითხზე მითითებულია მხოლოდ რუსული ლიტერატურა (სასწავლო კურსი „ეკოლოგია და გარემოს დაცვა“). ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომ დაიხვეწოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და გადაიხედოს ზემოაღნიშნული შეუსაბამობები და გასწორდეს შეუსაბამობები სასწავლო კურსების სწავლის შედეგებსა და შინაარსს შორის, განახლდეს სასწავლო კურების „ეკოლოგია და გარემოს დაცვა“ და სხვათა შინაარსი, პროგრმის განმახორციელებელმა პერსონალმა იზრუნოს სასწავლო ლიტერატურის განახლებაზე, სილაბუსებში მიეთითოს თანამედროვე ლიტერატურა, გადაიხედოს „საწარმოო პრაქტიკის“ კრედიტის მოცულობა, საათების რაოდენობა და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილი საათები იყოს გათვალისწინებული. აღნიშნული კომპონენტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან.

შემდეგი კომპონენტთან მიმართებით, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვა, პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას საბაკალავრო პროგრამის დონის შესაბამისად. პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად ექსპერტებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს იმ სასწავლო კურსების შესწავლა, რომელებიც მოიცავს ლაბორატორიულ და პრაქტიკულ სამუშაოებს. პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას კი უზრუნველყოფს საწარმოო პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი.

ექსპერტმა აღინიშნა, რომ საწარმოო პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტებს კონსულტაციებს უწევს დარგის კვალიფიციური პირები, რომლის განხორციელებაშიც მონაწილეობენ შპს „Batumi Oil Terminal”-ის და შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტები. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ფაკულტეტის ნავთობისა და გაზის ლაბორატორიაში ჩაატარონ პრაქტიკული და კვლევითი სამუშაოები, რომელთა შედეგები აისახება, როგორც შიდა საუნივერსიტეტო, ასევე რესპუბლიკურ სტუდენტურ კონფერენციებზე. ასეთი აქტივობები განსაზღვრავს სტუდენტების მიერ სახელობითი სტიპენდიების მიღების შესაძლებლობას. დაწესებულებას დაგეგმილი აქვს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება ამ მიმართულებით.

საბაკალავრო ნაშრომი შედგება ზოგადი, ტექნოლოგიური, კონსტრუქციული, სპეციალური (კვლევითი) და შრომის უსაფრთხოების ნაწილისაგან. საბაკალავრო ნაშრომის შესრულებით სტუდენტი სიტემატიზაციას უკეთებს და აღრმავებს პრაქტიკულ, სამეცნიერო-კვლევით და ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადაიხედა „სამთო და გეოინჟინერიის“ პროგრამის კურსდამთავრებულთა საწარმოო პრაქტიკის ანგარიშები და საბაკალავრო ნაშრომები, რომლებითაც დადასტურდა საწარმოო პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის მნიშვნელობა პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირების პროცესში. თანამედროვე ლიტერატურით სარგებლობის საკითხი ამ შემთხვევაშიც საჭიროებს გაუმჯობესებას.

პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებებთან: სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის (Fab Lab) განთავსებასთან დაკავშირებით), (2015 წ.), ქალაქ ბათუმის მერია (2010 წ.), შპს „ ბათუმის ნავთობტერმინალი (2010 წ.), შპს „ბათუმის წყალი“ (2012 წ.), შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ (2010 წ.), სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ (2009 წ.), სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“ (2011 წ.). ექსპერტების რეკომენდაცია გულისხმობს მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების განახლებას, უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის მიზანი 1 და მიზანი 6 ითვალისწინებს, როგორც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება/განახლებას, ასევე სტრატეგიული პარტნიორების შეძენას სხვადასხვა სფეროებში. ამ საკითხებთან დაკავშირებით გაიცა ორი რეკომენდაცია: საბაკალვრო ნაშრომის წერისას თანამედროვე ლიტერატურის გამოყენება და მემორანდუმების განახლება. კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან.

სწავლა-სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით ძირითადად გაწერილია ამ პროგრამისთვის მნიშვნელოვანი მეთოდები, შესაბამისად, კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისი მოთხოვნებთან.

სტუდენტების შეფასების სისტემა ეფუძნება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს და გამოცდების ჩატარების ინსტრუქციას, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს. შუალედური შეფასება მოიცავს: შუალედურ გამოცდას, მიმდინარე შეფასებებსა და შეფასების სხვა კომპონენტს, რომელიც შეირჩევა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით და აისახება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარიც შუალედური და დასკვნითი გამოცდისთვის. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზრვრავს სტუდენტის ვალდებულებას დაესწროს სალექციო მეცადინეობების მინიმუმ 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით ასეთ შემთხვევაში ხდება სტუდენტის შეფასება მხოლოდ ლექციებზე დასწრებით, რაც ნიშნავს სტუდენტის მხოლოდ ერთი ფორმით შეფასებას და შესაბამისად, წინააღმდეგობაში მოდის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებასთან, იმ შემთხვევაში, თუ ლექციებზე დასწრება მნიშვნელოვანია, პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად შეფასების 100 ქულიდან უნდა განისაზღვროს შესაბამისი ხვედრითი წილი და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

ექსპერტებმა რეკომენდაცია გასცეს FX შეფასების შესახებ, რადგან სასწავლო კურსის სილაბუსებში სტუდენტის მიერ FX-ის მიღების შემთხვევაში, აღწერილია დამატებით

გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, თუმცა არ არის მითითებული რა ვადაში შეუძლია სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლა. აღნიშნეს, რომ ამ ვადას მინისტრის N3 ბრძანების შესაბამისად განსაზღვრავს დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

დაწესებულებაში 2018-2019 სასწავლო წლიდან დაინერგა პლაგიატის გამოვლენის სპეციალური პროგრამა Turnitin (პრო-გრამა შეიძინეს ERASMUS+ ინსტიტუციური განვი-თა-რების პროექტის„აკადემიური კეთილ-სინდი-სიე-რება ხარისხი-ა-ნი სწავ-ლი-სა და სწავ-ლების-თვის ქარ-თულ უმაღ-ლეს საგანმანათლებლო დაწე-სებუ-ლებებში“ფარგლებში). პილოტი-რებაში ჩართული იყო ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სასწავლო კურსები. 2019-2020 სასწავლო წლისთვის სავალდებულოდ განისაზღვრა საბაკალავრო ნაშ-რომების ატვირთვა Moodle-ს პროგრამაში და მისი მუშაობის წესთან დაკავშირებით შემუშავდა შესაბამისი რეგულაციები.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა თვითშეფასების ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარე, სწავლის შედეგების, სასწავლო კომპონენტების, სწავლება-სწავლის მეთოდებისა და შეფასების სისტემის თავსებადობის ამაღლების შესახებ. ექპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია მარეგულირებელი წესის გასწორების შესახებ და კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან.

ექსპერტებმა მესამე სტანდარტზე აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში არის საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს უნივერისტეტის ბაზაზე შექმნილ სტუდენტურ პორტალს და უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას ნებისმიერი აქტივობის შესახებ. აღნიშნული ეხება, როგორც მოქმედ სტუდენტებს, ასევე კურსდამთავრებულებსაც, პორტალზე განთავსებული სიახლე, როგორც სტუდენტებს აგრეთვე კურსდამთავრებულებს ეგზავნებათ შეტყობინების სახით მობილურზე. პორტალზე განთავსებულია 6677 სტუდენტისა და 3546 კურსდამთავრებულის მონაცემები (მაგ., რეზიუმე, კონფიდენციალობის დაცვით), აგრეთვე არსებობს 126 დამსაქმებლის ბაზა, ორივე მხარეს აქვს შესაძლებლობა შერჩევის დროს ინტერესების შესაბამისად მოახდინოს მონაცემის ფილტრაცია. აღნიშნული პორტალის მეშვეობით სტუდენტი იღებს ინფორმაციას საგამოცდო შეფასების შესახებ (ახსნა-განმარტების დაწერის გარეშე ლექტორი ვერ დაწერს ქულას). საჭირო ცნობას სტუდენტი პორტალის დახმარებით მომენტალურად იღებ (სტატუსის შესახებ, აკადემიური მოსწრების ამონაწერს, ბიბლიოთეკის დავალიანებას, ფინანსურ დავალიანებას). აგზავნიან რეკომენდაციის მოთხოვნას პორტალიდან და იღებენ იგივე არხით (დაცულია დამოწმების წესი). აღნიშნული პორტალი უკუკავშირის ძლიერი მექანიზმია, რადგან სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია თუ, რატომ დაიწერა ესა თუ ის შეფასება. ლექტორების და სასწავლო კურსის შეფასება პორტალის მეშვეობით ხორციელდება.

რაც შეეხება, ადამიანურ რესურსს, “ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიების” საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება სულ 15 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, აქედან 7 აკადემიურია, 8 კი - მოწვეული. აკადემიურ პერსონალს შორის 2 პროფესორია, 2 ასოცირებული პროფესორი და 3 ასისტენტ პროფესორი. აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია თვითშეფასების ანგარიშის 4.1 ქვესტანდარტში. თუმცა იგივე ანგარიშის ზოგად ნაწილში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც ეხება პროგრამის რაოდენობრივ მაჩვენებელს, აღნიშნულია, რომ სასწავლო პროგრამაში ჩართული იქნება 30 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, საიდანაც 23 არის აკადემიური და 7 მოწვეული. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია 30 ადამინის პირადი საქმე, დიპლომები და CV-ები. ექსპერტები დაწერის დროს გაეცნენ წარმოდგენილ პირად საქმეებს და შეუძლიათ თქვან, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სტუდენტების ბალანსი განაპირობებს პროგრამის

მდგრადობის საფუძველს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პერსონალის განათლება და აკადემიური ხარისხი შესაბამისობაშია სწავლის შედეგების მიღწევასთან. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებითა და მრავალწლიანი გამოცდილებით, რაც აღწერილია მათ პირად საქმეებსა და სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალში. ადამიანური რესურსი ექსპერტების მიერ პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ შეფასდა.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი. შესაბამისად, დაწესებულებაში რეგულარულად ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება. პედაგოგიური საქმიანობის შეფასება ხდება რამდენიმე კომპონენტით - პერსონალის სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობით, სტუდენტების მიერ სემესტრული გამოკითხვის საშუალებით, ლექციებზე ურთიერთდასწრების მექანიზმის გამოყენებით. უნივერსიტეტში სისტემატიურად იგეგმება და ტარდება კონფერენციები, ტრენინგები, საინფორმაციო შეხვედრები. ინტერვიუებიდან გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უცხო ენის შემსწავლელ კურსებს აკადემიური პერსონალისთვის, ასევე ხდება მათი გადამზადება სწავლების მეთოდებსა და სხადასხვა ტრენინგების შეთავაზებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამჟამად ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ჩართულია 9 სხვადსხვა საგრანტო პროექტის განხორციელებაში. აკადემიური საქმიანობის ხარისხის მართვის მექანიზმები მიმართულია, რომ პერსონალი იყოს მოტივირებული და ხარისხის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული. ყველა ზემოთჩამოთვლილი მიდგომა აკადემიურ პოზიციაზე დანიშვნის წესის გათვალისწინებით წამახალისებელია, რომ პერსონალი მეტად იყოს ჩართული სამეცნიერო სამუშაოში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება იგეგმება უნივერისტეტის ტექნოლოგიურ კორპუსში. სასწავლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შემოწმდა ადგილზე, ქ. ბათუმში აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა სრულიად ადეკვატურია და შეესაბამება პროგრამას; საშუალებას აძლევს პროგრამას მიაღწიოს დასახულ მიზნებს და გავიდეს შედეგებზე. ფაკულტეტზე არსებობს რამდენიმე ლაბორატორია, რომელიც გამოიყენება პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო აქტივობების განხორციელების პროცესში. ლაბორატორიები ძირითადად საგრანტო დაფინანსებით არის შექმნილი, თუმცა უმჯობესია ზოგიერთ მათგანში განახლდეს ხელსაწყოები და მოწყობილობები, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ თანამედროვედ აღჭურვილ ლაბორატორიებში მუშაობისა და პრაქტიკული გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობა, ასევე, მნიშვნელოვანია ლაბორატორიების შესაბამისი გამწოვი სისტემებით აღჭურვაც.

აღსანიშნავია, რომ ნავთობის პროფილის ლაბორატორიული ბაზა მოიცავს სხვადასხვა სახის აპარატურას, მაკეტებს, ტრენაჟორ-იმიტატორებს და სხვა, აღნიშნული ინფრასტრუქტურის შექმნა საკამოდ დიდ სახსრებთან არის დაკავშირებული, როგორც ინტერვიუებიდან დადგინდა ტექნიკური ბაზისა და ლაბორატორიების აღჭურვა საგანმანათლებლო დაწესებულების პრიორიტეტია.

პროგრამის განხორციელება იგეგმება ფაკულტეტზე არსებულ კეთილმოწყობილ აუდიტორიებში, სადაც განთავსებულია მერხები, სკამები, თეთრი დაფა, პროექტორი. დამატებით პროგრამას მოემსახურება ერთი აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური smart board-ით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე რიგ კაბინეტებს, აუდიტორიებს და ლაბორატორიებს არ აქვს გაგრილების სისტემა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლაბორატორიებისათვის. შენობა აღჭურვილია უსაფრთოხებისა და

ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობებით. ფაკულტეტს აქვს კომპიუტერული ლაბორატორიები, სადაც პერსონალურ კომპიუტერებში ჩაწერილია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სხავდასხვა პროგრამა, როგორიც არის ავტოკადი და აშ.

საგანმანათლებლო პროგრამას მოემსახურება სასწავლო დაწესებულების ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, რომლებსაც გააჩნიათ სამკითხველო დარბაზები. ბიბლიოთეკაში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები. ბიბლიოთეკა მუშაობს სრულად 6 სამუშაო დღის განმავლობაში და ნახევარ განაკვეთზე კვირა დღეს. უნივერსიტეტი ფლობს საბიბლიოთეკო ელექტრონულ ბაზებს: EBSCO, Cambridge University Press, Royal Society Journals Collection, BioOne. აღსანიშნავია, რომ ელექტრონულ ბაზებზე აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს წვდომა აქვთ უნივერსიტეტის მიღმაც, კორპორაციული მეილის გამოყენებით. თუმცა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტში სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენების მაღალი მაჩვენებელი არ შეინიშნება. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, შემოწმდა სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა, რამდენად ხელმისაწვდომია ეს სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში, დადგინდა, რომ სტუდენტს აქვს ყველა რესურსზე წვდომის საშუალება. პროგრამით გათვალისწინებული წიგნები ძირითადად ხელმისაწვდომია ფააკულტეტის ბიბლიოთეკაში. თუმცა, ლიტერატურის დიდი ნაწილი არის მოძველებული და უნდა განხლდეს. სტანდარტი შეფასებულ იქნა, როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, სადაც არ არის მითითებული თუ რა პერიოდს მოიცავს ბიუჯეტი. ინტერვიუებიდან კი დადგინდა, რომ ბიუჯეტი არის გაკეთებული პროგრამის დაწყებიდან მეოთხე წლის საპროგნოზო მონაცემების გათვალისწინებით, იმ დაშვებით რომ პროგრამა ყოველწლიურად მიიღებს 45 სტუდენტს და ეყოლება აქტიური 180 სტუდენტი.

საგანმანათლებლო პროგრამის შემოსავლები ითვალისწინებს მხოლოდ სტუდენტების სწავლის საფასურით მიღებულ შემოსავალს. პროგრამას მეოთხე წელს ექნება 405 000 ლარის შემოსავალი. შესაბამისი პერიოდის პირდაპირი შრომითი ანაზღაურების ხარჯი 196 238,57 ლარია, ხოლო ზედნადები ხარჯები 162 000 ლარი. პროგრამის მოგების მარჟა არის 22%. და ამ მონაცემებზე დაყრდნობით პროგრამის ფინანსური მდგრადობა არ დგება ეჭვქვეშ. თუმცა, ექსპერტებს არ მიეცათ შესაძლებლობა შეეფასებინათ პროგრამის განხორციელების პირველ სამ წელს დაგენერეირებული შემოსავლები და შესაბამისი ხარჯები. ასევე საპროგნოზო ბიუჯეტი გათვლილია იმ დაშვებაზე, რომ პროგრამა ყოველწლიურად მიიღებს სტუდენტების მაქსიმალურ რაოდენობას და ამ პერიოდში არ ეყოლება სტატუსშეჩერებული სტუდენტი. თუმცა არსებული გამოცდილების მიხედვით, გამოთქვეს მოსაზრება, რომ ასეთი დაშვება ძალიან ოპტიმისტურია და შესაბამისად არ ჰქონდათ საშუალება ამ მონაცემებზე დაყრდნობით ობიექტურად შეეფასებინათ პროგრამის ფინანსური მდგრადობა. ამ ჩანაწერის გაკეთების საფუძველი ექსპერტებს მისცა იმ გარემოებამ, რომ აღნიშნული ბიუჯეტის ანალიზი ვერ ხერხდება ფიქსირებული და ცვლადი ხარჯების მიხედვით. ასევე ვერ ხერხდება ზედნადები ხარჯების სტრუქტურისა და შინაარსის შეფასება. ბუნდოვანია, ითვალისწინებს თუ არა პროგრამა ლიტერატურის შეძენას, სამეცნიერო აქტივობების წახალისებას და ა.შ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგინდა, რომ პროგრამისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსით, პროგრამის მიზნის მიღწევა და საჭიროებების დაკმაყოფილება მხოლოდ ნაწილობრივაა შესაძლებელი. რეკომენდაციები გაიცა, რომ ბიუჯეტი გადაიხედოს და გაითვალოს დაწყების წლიდან ოთხი წლის ჩათვლით, ხარჯების სტრუქტურა დეტალურად იყოს ჩაშლილი, შესაბამისი მუხლების მიხედვით და პროგნოზირებულ ბიუჯეტში შემოსავლები აღებული იყოს რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით ან მოქმედი პროგრამის მონაცემებზე დაყრდნობით, რაც უფრო რეალურ მონაცემებს მისცემს დაწესებულებას და შესაბამისად, ექსპერტების მიერ ეს კომპონენტი შეფასდა როგორც

ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვენებთან და მეოთხე სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

მეხუთე სტანდარტთან მიმართებით, დაწესებულებაში შიდა ხარისხის შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მთავარი პრინციპები შემუშავებულია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG), საქართველოს კანონმდებლობის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად.

პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში ჩართულია ფაკულტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი. სასურველია პროგრამის თვითშეფასების პროცესში სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად, დამხმარე და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ჩართულია პროგრამის განვითარების პროცესში, დაგეგმილია პროგრამის შეფასების ელექტრონული სისტემის განახლება.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში არის რიგი უზუსტობები. კერძოდ, თვითშეფასებაში აღწერილი პროგრამის მიზნები და შედეგები არ არის შესაბამისობაში პროგრამაში აღწერილ მიზნებთან და შედეგებთან, თვითშეფასების ანგარიშში არის უზუსტობები რაოდენობრივ მაჩვენებლებთან დაკავშირებით (პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა, სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები, კრედიტების განაწილების აღწერა).

გაიცა რეკომენდაცია, რომ მნიშვნელოვანია თვითშეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობის უზრუნველყოფა და გაუმჯობესდეს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მოქმედების ეფექტურობა, თვითშეფასების პროცესების სწორად წარმართვასა და პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის. ექსპერტებმა აღნიშნული კომპონენტი მოთხოვნებთან მეტწილ შესაბამისობად მიიჩნიეს.

დაწესებულება იყენებს გარე შეფასების მექანიზმებს, რომელიც ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას“, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“ და „აკრედიტაციის სახელმძღვანელოს“.

დაწესებულებაში პროგრამების მონიტორინგს კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, რომლებიც გასცემენ შესაბამის რეკომენდაციებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პროცესისა და გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს. შიდა და გარე შეფასების ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის. რეკომენდაციები განიხილება დარგობრივ დეპარტამენტში, ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიურ საბჭოზე.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი გასაუმჯობესებელ მხარედ განიხილავს - სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა მხრიდან განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დეპარტამენტის და პროგრამის ხელმძღვანელები, რეგულარულად უწევენ მონიტორინგს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, კარგი იქნება შიდა კოლეგიალური დასწრების სისტემის დანერგვა. პროგრამის განვითარებისათვის, მათთვის მნიშვნელოვანია საუკეთესო

საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება, ანალოგიურ პროგრამებთან შედარება, რაც დაეხმარება პროგრამას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისობაში მოსაყვანად. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გააუმჯობესებას.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია, რომ გაიზარდოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხი და გამოყენებულ იქნას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. აღნიშნული კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ფაკულტეტის დეკანმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის განვითარებში შეტანილი წვლილისთვის. მისი თქმით მათი მიზანი იყო ისეთი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა, რომელიც სტუდენტებს მისცემდა დასაქმებისა და მომავალში წარმატების შესაძლებლობას. დაწესებულება ეთანხმება საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების ძირითად ნაწილს. ასევე, გამოთქვა მოსაზრება რეკომენდაციებტან დაკავშირებით. პირველ საკიტხტან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა, პროგრამის მიზნებს, სადაც რეკომენდაცია იყო, რომ პროგრამის მიზნებში განისაზღვროს ის უნარები და კომპეტენციები, რომლის მიღწევაც არის დაგეგმილი პროგრამის კურსდამთავრებულთათვის, საგნამანათლებლო პროგრამის მიზნები იყო ჩამოყალიბებული და მისი მთავარი მიზანი იყო - მომზადებულიყო ინჟინრის კვალიფიკაციის სპეციალისტი, რომელსაც ეცოდინებოდა მთელი რიგი სასწავლო კურსები და ამასთანავე ექნებოდა ის უნარები, რითიც შეძლებდა შესაბამისი პასუხისმგებლობის აღებასა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და ა.შ. ამას უფრო ზოგადი სახე მიეცა, რომ მომზადდეს ბაკალავრი „ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგი“ დეტალური სფეროს მიმართულებით, საინჟინრო განათლების საფუძვლების მქონე, თეორიული და პრაქტიკული საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, ამოცანის დასმისა და გადაწყვეტის უნარებით, თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. რაც შეეხება შემდეგ შენიშვნას (პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და თვითშეფასების ჯგუფმა გამოასწოროს ის შეუსაბამობები, რომლებიც უკავშირდება პროგრამის მიზნების განსაზღვრას), ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზი იყო, რადგან დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრა პროგრამის მიზნები, თვითშეფასების ანაგარიშში რამდენიმე ვერსია ჰქონდათ და ერთ-ერთ იყო ძველი, დარჩენილი და შეცდომიტ დაბეჭდილი, მისი თქმით დაწესებულების წარმომადგენლებსაც გაუკვირდათ და ამის გამო ბოდიშიც კი მოიხადა. რა თქმა უნდა, ის მიზნები, რაც დაწესებულებას აქვს საგანმანათლებლო პროგრამაში გადატანილია თვითშეფასების ანგარიშშიც. 1.2 ქვეპუნქტთან დაკავშირებით, (პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს ის ცოდნა და უნარები დეტალური სფეროს აღწერის შესაბამისად, (ნავთობის და გაზის მარაგების შეფასება), რომლებსაც პროგრამა, სასწავლო კურსების და შესაბამისი თემატიკების გათვალისწინებით, რასაც რეალურად აძლევს კურსდამთავრებულებს) ისაუბრეს, რომ ნავთობისა და გაზის შეფასება არ არის აღწერილი, პროგრამის ავტორებს ნაგულისხმევი ჰქოდათ იმ ცოდნისა და უნარების არსებობა. ასევე აქვთ სწავლის შედეგი - ანგარიშობს ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპოტირების, შენახვისა და გადამუშავების პროცესების შესაბამის ტექნოლოგიურ პარამეტრებს, მოწყობილობა დანადგარების მახასიათებლებს და კონსტრუქციულ ელემენტებს, თუმცა დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია და ჩამოაყალიბეს შემდეგნაირად - „ანგარიშობს და აფასებს ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპოტირების, შენახვისა და გადამუშავების პროცესების შესაბამის ტექნოლოგიურ პარამეტრებს“.

ერთ-ერთი რეკომენდაცია, იყო რომ შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები პროგრამის სწავლის შედეგებისთვის, დაწესებულება დაეთანხმა აღნიშნულ რეკომენდაციას და სამიზნე ნიშნებს

განსაზღვრავენ უფრო დაზუსტებით, სად იქნება მიღწეული შედეგები და ანგარიში იქნება მომზადებული.

რაც შეეხება, რეკომენდაციას, რომ პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და თვითშეფასების ჯგუფმა გამოასწოროს ის შეუსაბამობები, რომლებიც უკავშირდება პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრას, დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით სწავლის შედეგებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნავთობისა და გაზის გადამუშავების საკითხებს, რაც არ გულისხმობს მხოლოდ სასაქონლე პროდუქტის მიღებას. ასევე გულისხმობს ნედლი ნავთობის გადამუშავებას, ემულგაციას, სეპარაციას, გაუმარილებას და სხვა, რომელიც შეიძლება შემდეგ სხვა სასწავლო კურსებშიც იყოს, მაგ., „ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და საბადოს დამუშავების ტექნოლოგია“, „ნავთობისა და გაზის ქიმია“ და ა.შ. ეს საკითხები მიეკუთვნება 0724-ის დეტალურ სფეროს და აღნიშნული სასწავლო კურსები არის ძირითადი სფეროს სასწავლო კურსები, საერთოა ორივე კონცენტრაციისათვის, ხოლო სასწავლო კურსი „ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და საბადოს დამუშავების ტექნოლოგია“ აღრმავებს ნავთობისა და გაზის გადამუშავებასთან დაკავშირებულ ცოდნასა და უნარებს.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა რეკომენდაციას, რომ გაიწეროს პროგრამაში გათვალისწინებული კონცენტრაციების სწავლის შედეგები, რეკომენდაცების გათვალისინების შემდეგ კი კონცენტრაციების სწავლის შედეგები გაიწერება ცალკე.

რეკომენდაციას, რომ პროგრამის სასწავლო გეგმაში და სილაბუსებში გასწორდეს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები დაწესებულება დაეთანხმა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსში „ნავთობისა და გაზის სარკინიგზო გადაზიდვები“ წინაპირობად განისაზღვრა სტუდენტის მიერ გაკეთებული არჩევანი, ან „ელექტრო ტექნიკის საფუძვლები“, ან „ელექტრონიკის საფუძვლები“.

პროგრამის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ეს წინაპირობა ეკუთვნის ერთ-ერთ არჩევით საგანს, ამიტომ დაწესებულება თუ მიუთითებს ერთ-ერთ მათგანს, მეორე საგანი დარჩება მიუთითებელი და სრულიად სწორი იყო შენიშვნა, რომლის თანახმადაც სტუდენტი ან ერთ საგანს აირჩევს ან მეორეს, მაგრამ ერთ-ერთი აუცილებლად უნდა იყოს არჩეული და დაწესებულებამ აღნიშნული უკვე გამოასწორა.

დაწესებულების წარმომადგენელმა გააგრძელა რეკომენდაციის განხილვა და განმარტა, რომ სასწავლო კურსს „საწარმოო პრაქტიკა“ წინაპირობად აქვს შრომის უსაფრთხოების ყველა საგანი, დამატებითი, „მაინორ“, პროგრამის სასწავლო კურსში „ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ხარისხის კონტროლი და სერთიფიცირება“ წინაპირობად განისაზღვრა, სასწავლო კურსი „ნავთობქიმიის საფუძვლები“. რაც შეეხება სასწავლო კურსს „სითხისა და გამოყენებული აირების გამოყენებითი მექანიკის“ დაშვების წინაპირობად ექსპერტებს მითითებული ჰქონდათ „თეორიული მექანიკა“, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით თეორიული მექანიკა არ სჭირდება სითხეების მექანიკას წინაპირობად, რადგან თეორიული მექანიკა შეისწავლის მყარ სხეულებს, სითხეების მექანიკა შეისწავლის თხევად სხეულებს და მათ ერთმანეთთან კავშირი არ აქვთ, ამიტომ არ შეიძლება იყოს წინაპირობა, აღნიშნული სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვრა „მათემატიკა ინჟინრებისათვის 1“.

რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სასწავლო კურსების სწავლის შედეგების დახვეწასა და ჩამოთვლილი შეუსაბამობების გასწორებას, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ განხორციელდება სწავლების შედეგების შესწორება და ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრა შემდეგ სასწავლო კურსების სილაბუსებში: „გეოფიზიკური კვლევები“, „სარეწაო გეოფიზიკა“, „თეორიული მექანიკა“, „მასალათა გამძლეობა“, „თბოტექნიკა“, სიტყვა

„მშენებლობა“ შეცდომით იყო ჩაწერილი, რადგან სილაბუსები მუშაობის პროცესში გადატანილია სხვა მიმართულების პროგრამიდან და სიტყვა მექანიკურად გადმოყვა, რაც შესწორდება, ასევე შესწორდება „შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის“ სახელწოდება, სწავლის მიზნები და შედეგი გასწორდება სასწავლო კუსში „მათემატიკა ინჟინრებისთვის 2“.

რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც უნდა გასწორდეს შეუსაბამობები სასწავლო კურსების სწავლის შედეგებსა და შინაარსს შორის, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო კურსის „ნავთობგაზსადენებისა და ნავთობგაზსაცავების ლითონის კონსტრუქციები“ სწავლის ერთ-ერთი შედეგი („შეუძლია სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე, რომელიც მოიცავს მუდმივ განათლებასა და პროფესიულ საქმიანობას“) ვერ მიიღწევა აღნიშნული სასწავლო კურსით, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელი იმისათვის, რომ სტუდენტმა ეს საგანი საფუძვლიანად შეისწავლოს უსდ ასწავლის „თეორიულ მექანიკას“, „მასალათა გამძლეობას“ და სხვა, რომელებიც ერთად გადის მოცემულ სასწავლო კურსზე და ისეა აგებული, რომ მასში შეისწავლება თითქმის ყველა ფორმულის გამოყვანა თეორიულად, შემდეგ ხდება მისი არქიტექტურული აღწერა, თუ რა არის ეს კონსტრუქცია, რას წარმოადგენს რეზერვუარების, გაზბოლტერების, მილსადენების კონსტრუქციები და საბოლოო ჯამში, დაწესებულების წარმომადგენლებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ სტუდენტს ეძლევა ისეთი ცოდნა, რომ მას ნაწილობრივ მისი აგების, რულონებად დახვევის მეთოდიკა, აგების მეთოდებში ისწავლება ამ სასწავლო კურსში. სტუდენტს ამ სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ ექნება სრული ცოდნა რეზერვუარებსა და მათ დაპროექტებაზე, ასევე მას შეეძლება, რომ სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში და იქ იგივე თემა აიღოს მაგისტრატურის მიმართულებით და შემდეგში სადოქტორო მიმართულებითაც ან საერთოდ ინოვაციებშიც გადავიდეს, არსებობს წინასწარ დაძაბული რეზერვუარები, პანტონებიანი რეზერვუარები, მცურავი სახურავიანი რეზერვუარები, თაღოვან კონსტურქციულ ხიდებზე გადასასვლელები და აღნიშნული სასწავლო კურსი ისეა მოწყობილი, რომ ყველაფრის საშუალება ეძლევა სტუდენტს, ამიტომ წერია, რომ შეეძლება მას სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე. სასწავლო კურსის „გეოფიზიკური კვლევები და სარეწაო გეოფიზიკა“ სახელწოდება შეიცვლება „სარეწაო გეოფიზიკით“, ასევე პროგრამის ხელმძღვანელი ეთანხმება ექსპერტებს და სასწავლო კურსის სწავლის შედეგებიდან ამოიღებენ პუნქტს გეოლოგიური ძიების შესახებ, რომელიც გადმოყოლილი იყო სხვა სილაბუსიდან, დაკონკრეტდება და სტუდენტებისთვის მეტად გასაგები გახდება სასწავლო კურსი.

ექსპრტების მეირ გაკეთებული ჩანაწერებით სასწავლო კურსი „ეკოლოგია და გარემოს დაცვა“, რომლისთვისაც მხოლოდ 2 კრედიტია გამოყოფილი ითვალისწინებს, რომ სტუდენტს შეუძლია საწარმოო ნარჩენების უტილიზაციისათვის საჭირო სქემების შერჩევა, კურსის შინაარსი ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევას, სასწავლო კურსის „ეკოლოგია და გარემოს დაცვა“ შინაარსში განიხილება ორი თემა: უნარჩენო ტექნოლოგიური პროცესების საფუძვლები და მყარი, აირადი და თხევადი ნარჩენების ლიკვიდაციის გზები, რომლებიც განიხილება საწარმოო ნარჩენების უტილიზაციისათვის საჭირო სქემები, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს საჭირო შემთხვევაში შეარჩიოს და გამოიყენოს შესაბამისი სქემა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სასწავლო კურსი „ნავთობისა და გაზის გეოლოგია“ სწავლის შედეგად განსაზღვრავს, რომ სტუდენტს შეუძლია არსებული თეორიებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გარემოზე ზემოქმედებისა და უსაფრთხოების დონის შეფასება, კურსი შინაარსის მიხედვით ვერ გავა აღნიშნულ შედეგზე. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ განიხილება თემები: ნავთობისა და გაზის ძებნის რეგიონული სამუშაოები, ცალკეული ბუდობების ძიების ჭაბურღილების განლაგების საფუძვლები, დაგროვილი ძიების სისტემის არჩევა, აღნიშნულ საკითხებში განიხილება ჭაბურღილების ბურღვის სისტემები, მანძილების დადგენა ჭაბურღილებს შორის მათი ურთიერთგანლაგება და სხვა, რაც სტუდენტს

საშუალებას მისცემს შეაფასოს გარემოზე ზემოქმედება და უსაფრთხოების დონე, ექსპერტთა აზრით სასწავლო კურსის „ნავთობისა და გაზის სარეწაო გეოლოგია და მარაგების გამოთვლა“ სწავლის შედეგი, ავლენს პროფესიულ ცოდნას, გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებში, გააჩნია სწავლის პროცესში დაგეგმვის, დროის სწორად განაწილებისა და გამოყენების უნარი არსებული თეორიებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით, გარემოზე ზემოქმედებისა და უსაფრთხოების დონის შეფასება, აღნიშნული კურსის შინაარსით ვერ მიიღწევა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სასწავლო კურსის შინაარსში განიხილება თემები: ნავთობისა და გაზის საბადოების დაცვა, მოთხოვნები ჭაბურღილის მიმართ ნავთობისა და გაზის მარაგების გამოთვლების დროს, რომლებიც მოცემულია გარმოს დაცვის საკითხებში, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს მომავალ საქმიანობაში გაითვალისწინოს გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხები.

რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ „განახლდეს სასწავლო კურსების: „ეკოლოგია და გარემოს დაცვა“, „ნავთობქიმიის საფუძვლები“, „გამოყენებითი ქიმია“, „შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“, „თბოტექნიკა“ შინაარსი“, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ განხორციელდა შესწორებები სასწავლო კურსებში. რაც შეეხება შენიშვნას თერმოდინამიკის არ სწავლების შესახებ, ფიზიკაში ისწავლება ზოგადი სახით და ზოგადი მიდგომებით „თბოტექნიკის“ სასწავლო კურსზე კი თერმოდინამიკის კანონი შეისწავლება სიღრმისეულად, ზუსტ და ბუნებისმეტყველების სასწავლო კურსში მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით, თბოტექნიკაში თანამედროვე საინჟინრო პრობლემების გადასაწყვეტად, ამიტომ არის აღნიშნული საწავლო კურსის სილაბუსი ასე.

შემდეგი რეკომენდაცია ეხება საწარმოო პრაქტიკის კრედიტების მოცულობისა და საათების რაოდენობის გადახედვას, შესაბამისი საკონტაქტო და საგამოცდო საათების რაოდენობების გასწორებასა და დამოუკიდებელი მუშაობისათვის აუცილებელი საათების დამატებას, ფაკულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ მათ სხვადასხვა კომპანიებთან აქვთ პრაქტიკასთან დაკავშირებული მომორანდუმები/ხელშეკრულებები, რომლებიც დიდიხანია დადებულია და ხშირ შემთხვევაში პარტნიორული და მჭიდრო ურთიერთობა აქვთ, მათი ერთ-ერთი პარტნიორი არის ბათუმის ნავთობ-ტერმინალი, სადაც ისეთი სიიტუაციაა, რომ შესვლა არის საშვებით, იწერება წერილი ხელმძღვანელობის სახელით, სტრატეგიული ობიექტია და როდესაც სტუდენტი შედის, ყველა პროცესს გადის შიგნით, ასევე პრაქტიკას და საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო ცენეტრში სწავლება, დაწესებულების წარმომადგენლების აზრით პრაქტიკის ძირითადი საათები უნდა იყოს პრაქტიკა და ისინი უნდა მუშაობდნენ, უნდა ზომავდნენ სითხეებს რეზერვუარებში, მონაწილეობას იღებდნენ გადატვირთვის პროცესში, იღებდნენ მონაცემებს და პირდაპირ იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში და ამას აქვს ნაკლები პრაქტიკული კომპონენტი, სტუდენტები ჩართულნი არიან მუშაობის პროცესში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პარტნიორ კომპანიას აქვს ძალიან კარგი სასწავლო ცენტრი და ჰყავს ოფიციალური, შტატში აყვანილი თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია სტუდენტურ განათლებაზე და როდესაც სტუდენტი ადგილზე აკეთებს ანგარიშს, ზემოთხსენებულმა პირმა უნდა მოაწეროს ხელი და დაარტყას ბეჭედი, სადაც გაწერილია ყველა პუნქტი, ხელმძღვანელი და საათი, როდის და რას აკეთებდა სტუდენტი, წარმოებიდან გამოსვლის შემდეგ, როდესაც ასრულებს პრაქტიკას მას ანგარიში უკვე მზად აქვს, შემდეგ დაწესებულება იღებს ანგარიშს და პრაქტიკის ხელმძღვანელი აძლევს იმ შეფასებას, რომელიც მისცა წარმოების კურატორმა. შესაბამისად ამ კონკრეტულ შემთხვევაში არა მიზანმიმართულად მიაჩნიათ, რომ საათები პრაქტიკას მოაცილონ და დამოუკიდებელი სამუშაოსთვის გამოყონ, მაგრამ სხვა სახის წარმოების შემთხვევაში, სადაც სტუდენტი

დამოუკიდებლად აკეთებს ყველაფერს, შესაძლებელია დამოუკიდებელი სამუშაოს მიცემაც, დაწესებულება ამის წინააღმდეგია, რომ საათები თავიდან გადანაწილდეს, თუმცა მოცემულმა კომპანიამ ასე დააყენა საკითხი და დაწესებულება ამას ეთანხმება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ კითხვები ან მოსაზრებები არსებობის შემთხვევაში.

სხდომის თავმჯდომარემ, დიმიტრი გეგენავამ დააზუსტა ექსპერტების მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ პროგრამაში არის კონცენტრაციები, თუმცა ამ კონცენტრაციების შედეგები არ არის ასახული სწავლის შედეგებში და დაწესებულებაც დაეთანხმა ამაში. მას აინტერესებდა სწორად გაიგო თუ არა.

ექსპერტმა განმარტა, რომ აუცილებელია, გარკვეული თვალსაზრისით პროგრამის ძირითად სწავლის შედეგებში, შესაძლებელია ფრაზების ნაწილში იყოს ჩანაწერი ამ კონცენტრაციების სწავლის შედეგთან მიმართებაში, თუმცა ცალკე კონცენტრაციას სწავლის შედგები არ ჰქონდა გაწერილი.

ზოგიერთ სასწავლო კურსთან დაკავშირებით რეკომენდაციებს, რომლებსაც დაწესებულების წარმომადგენლები არ დაეთანხმნენ, ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ განაცხადა, რომ არ ეთანხმება. მაგ., „ეკოლოგიას და გარემოს დაცვა“ - ეს სასაწავლო კურსი დამსაქმებელთა მოთხოვნით ჩაისვა და ისეთი საკითხები, როგორებიცაა უნარჩენო ტექნოლოგია და ა.შ. საკითხები სილაბუსის მიხედვით აღებულია 1985 წელს გამოშვებული სახელმძღვანელოდან და გარემოს დაცვის მიმართულებით მიდგომები 1985 წლის შემდეგ და მითუმეტეს ნარჩენების მართვასთან მიმართებაში დიამეტრალურად არის შეცვლილი სიტუაცია, მათ შორის ვალდებულებები ასოცირების ხელშეკრულების თანახმად შეიცვალა და ნავთობმოპოვება ითვლება გარმოს ერთ-ერთ სერიოზულ დამაბინძურებლად, „უნარჩენო ტექნოლოგია“ ტერმინადაც კი აღარ არსებობს, რადგან წარმოუდგენელია ნარჩენების გარეშე წარმომართოს პროცესი და არსებობს ორი მიდგომა: ერთი, რომლის ნარჩენიც აუცილებლად არის და მეორე, რომელიც მოწყობილობისა და ადამიანების არასწორი საქმიანობის შედეგად იქმნება, ეს იმდენად მნიშნვნელოვანი საკითხებია, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ მიიჩნევს, რომ 1985 წელს გამოშვებული წიგნით, საბჭოთა კავშირისა და მათი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა იყოს ეს საკითხები მიწოდებული სტუდენტებისათვის, რადგან საქართველოში არის სახელმძღვანელოები, რომლებიც შესაძლებელია გამოიყენონ.

„ფიზიკისა“ და „თბოტექნიკის“, თერმოდინამიკის კანონებთან მიმართებაში, შინაარსში უნდა იყოს მითითებული, რა კონტექსტში და რა ბმა აქვს ამ საკითხებს თბოტექნიკასთან, ვინაიდან თერმოდინამიკის კანონებს ახალგაზრდები სკოლაშიც სწავლობენ, შემდეგ ფიზიკის სასწავლო კურსში და საკითხად პირდაპირ ეწერა თერმოდინამიკის კანონი, არ ეწერა რა კონტექსტში შეისწავლებოდა. ექსპერტის მოსაზრებით გარემოს შეფასების საკთხები ძალიან მნიშვნელოვანი კომპეტენციაა და დაწესებულების მიერ ჩამოთვლილ იქნა, სასწავლო კურსები, რომლის მიღმაც მოიაზრებენ, თუმცა შინაარსში ეს საკითხები არ ჩანდა და დაკონკრეტება და უფრო განვრცობაა საჭირო.

პრაქტიკასთან მიმართებაში ექსპერტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ჯგუფის პოზიცია, რომ სტუდენტი დამოუკიდებლად, რა სივრცეშიც არ უნდა აკეთებდეს ამას ის დამოუკიდებლად მუშაობს ანგარიშზე, სილაბუსის შესაბამისად, ეცნობა ლიტერატურას და ა.შ. ეს არის დამოუკიდებელი საათები, რომელიც ამ სასწავლო კურსში უნდა იყოს გათვალისწინებული.

დიმიტრი გეგენავამ სთხოვა დაწესებულებას განემარტათ მოცემული საკითხი, რადგან ეს არ არის უბრალოდ კითხვა და საბჭოს წევრების ერთგვაროვანი პრაქტიკიდან გამომდინარე ისმევა მოცემული საკითხი და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პროგრამის მოსალოდნელ შედეგებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გარემოს დაცვასთან დაკავშირებით აქვთ 2 კრედიტიანი სასწავლო კურსი, რომლის საათების რაოდენობა ძალიან მცირეა, ექსპერტების მიერ გაცემული შენიშვნა გასათვალისწინებელია და ამ ეტაპზე უკვე შეცვლილია ლიტერატურა, დაემატა ახალი თემატიკა, მან აღნიშნა, რომ ის ცოდნა და განათლება, რომელსაც 2 კრედიტიან საგანში დაწესებულება აძლევს სტუდენტს, მოიცავს იმ ცოდნას, რომელი სქემა როდის უნდა გამოიყენოს, თვითონ კი არ უნდა შეადგინოს, რაც ისედაც არ არის ამ კურსის ვალდებულება, უნდა გაერკვიოს, რომ თხევადი ნარჩენების დროს სხვა სქემა უნდა გამოიყენოს და მყარი ნარჩენების დროს სხვა, ამ სქემების მაგალითები მოცემულია სასწავლო კურსში და აქედან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ მიიღწევა კურსის შედეგები, თუმცა გაითვალისწინეს ექსპერტების შენიშვნა და ლიტერატურაც განაახლეს და თემატურადაც შეცვალეს.

დიმიტრი გეგენავამ შეახსენა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ თუ შეუძლიათ, პასუხი გასცენ მის კითხვას კონცენტრააციებთან დაკავშირებით შედეგების ასახვაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კონცენტრაციებთან დაკავშირებით შედეგები პროგრამის მთლიან შედეგებში შედიოდა, მაგრამ გაყოფილი იქნება თითოეული კონცენტრაციისთვის და დაწესებულებამ მიიღო შენიშვნა.

საბჭოს წევრმა იკითხა საბჭოსთვის გაგზავნილი პროგრამის მიხედვით არის თუ არა კონცენტრაციები ასახული შედეგებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველაფერი გაკეთებულია და გაყოფილი აქვთ ორად.

საბჭოს წევრმა დააზუსტა კითხვა, რომ მას არ უკითხავს რა შეცვალეს, შეფასების, ექსპერტთა ვიზიტის მომენტისთვის კონცენტრაციების შედეგები იყო ასახული თუ არა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წარმოდგენილ პროგრამაში ყველა ეს საკითხი ზოგადად იყო განხილული, შეფასებებში ეს საკითხები კონცენტრაციების გაყოფის გარეშე იყო მიწოდებული, მაგრამ რეკომენდაციის მიხედვით დაწესებულება გეგმავს ორად გაიყოს, თუმცა მიიჩნევენ, რომ ერთი და იგივეს გამეორება გამოვა.

საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა დასვა კითხვა კონცენტრაციების ნაწილთან დაკავშირებით, რომ პროგრამის შინაარსობრივი მხრიდან ჩანს კონცენტრაციების მიხედვით პროგრამა იყოფა ორ ნაწილად, ესენია: უშუალოდ ნავთობისა და გაზის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის საკითხები და მეორე ეხება ტრანსპორტირებას, შენახვასა და მასთან დაკავშირებულ თემატიკებს, მან კონცენტრაციებში მოცემული 3-3 სასწავლო კურსი შეისწავლა და ამ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები პროგრამის სწავლის შედეგებში ფრაზეოლოგიურად ფიქსირდება და თანხვედრა ნამდვილად არის, თუმცა ექსპერტთა ეს რეკომენდაცია ცალსახად გასათვალისწინებელია, რომ კონცენტრაციებს ცალ-ცალკე ჰქონდეთ გაწერილი სწავლის შედეგები კლასიფიკატორის მეექვსე მუხლის ჩანაწერის შესაბამისად. მისი კითხვა მდგომარეობდა შემდეგში, რადგან პრაქტიკული კომპონენტი თავის მხრივ უმნიშვნელოვანესია და როდესაც ამ პროგრამის კურსდამთავრებულები მიდიან პრაქტიკის ობიექტებზე იქ რამდენად არის ამ კონცენტრაციების შესაბამისი პრაქტიკა შეთავაზებული, როგორც

ტექნოლოგიური ნაწილი, ასევე ტრანსპორტირებისა და შენახვის საკითხები. საბჭოს წევრი გარკვეულწილად ეთანხმება ექსპერტებს, რომ საუბარი არ არის იმაზე, რომ პრაქტიკაში გაჩნდეს დამოუკიდებელი მუშაობის ნაწილი და დრო, არამედ რამდენად უზრუნველყოფს 5 კრედიტი, ანუ 125 საკონტაქტო საათი ამ ორივე კონცენტრაციის და მთლიანად პროგრამის მესამე სწავლის შედეგის გამომუშავებას და სხვა სწავლის შედეგების გამყარებასა და გაძლიერებას. ასევე დაინტერესდაა დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, ვინაიდან ეს პროგრამა არის უნიკალური, რადგან სხვაგან არ ხდება ამ კუთხით სპეციალისტების მომზადება, რამდენად არის მოთხოვნა კურსდამთავრებულებზე და თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით იკვეთება, რომ გარკვეული მიღების სტაბილურობა იყო საწყის წლებში, შემდეგ კი არის ვარდნა (7 სტუდენტი იყო მიღებული ბოლო წელს). დაწესებულების წარმომადგენლების აზრით რა ფაქტორით არის ეს გამოწვეული და დააფიქსირა მისი პოზიტიური დამოკიდებულება პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით, რადგან აქტუალური და მოთხოვნადია ეს სფერო და შესაბამისად კვალიფიკაციური კადრებიც. სილაბუსთან დაკავშირებით იკითხა რადგან სილაბუსში შეხვდა ლაბორატორიული სამუშაოები, უნდოდა, რომ შეეფასებინა სასწავლო გეგმაში სამუშაოებისა და ლაბორატორიების თანაფარდობა, თუმცა სასწავლო გეგმაში აღნიშნული კომპონენტი არ იკვეთება, არ არის გაწერილი ლაბორატორიული სამუშაოს საათები თითეული სასწავლო კურსისათვის, სადაც ლაბორატორიული სამუშაოები შეხვდათ და დაწესებულებას დაეთანხმა იმ ნაწილში, რომ სითხისა და აირის გამოყენების საკითხებს „თეორიული მექანიკა“ წინაპირობად ვერ ექნება, რადგან აქ ყურადღება გამახვილებულია ჰიდრომექანიკის საკითხებზე, ხოლო თეორიული მექანიკა, სტატიკა და დინამიკა უფრო მყარ სხეულებს ეხება. სთხოვა როგროც ექსპერტებს, ასევე დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ისაუბრონ ამ საკითხებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ როგორც საბჭოს წევრების ასევე ექსპერტების მოსაზრებასაც გაითვალისწინებენ და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის დაწვრილებითი ანალიზისთვის, რადგან ეს მათ დაეხმარება უფრო ჩამოყალიბებული და სრულყოფილი პროგრამის შექმნაში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თავიდან ჰქონდათ სამთო და გეოინჟინერია, ბევრი სტუდენტი მიდიოდა და შემდეგ უკვე, როგორც კურსდამთავრებულები წარმოებაში, რომ ინაცვლებდნენ გაგუგებრობას იწვევდა, რადგან შავიზღვისპირეთი ზოგადად არის ნავთობის ტრანსპორტის რეგიონი, მიდის გადატვირთვა სახმელეთო სარკინიგზო ტრანსპორტიდან საზღვაო ტრანსპორტზე, მილსადენი ტრანსპორტიდან საზღვაო ტრანსპროტზე და ძალიან ხშირად ისმებოდა საკითხი, რომ მათი დასახელება არ შეესაბამება სრულყოფილად იმ საკითხებს, რომლებიც დამსაქმებლებს სჭირდებათ. მათ ადრეც ჰქონდათ წინადადება და შემდეგ ახალი კლასიფიკატორი დაეხმარათ, რადგან მასში პირდაპირ იყო გაწერილი ის მოთხოვნები რომლებსაც ისინი აყენებდნენ, 0722-ში რომ იყო დეტალური სფერო, პირდაპირ არის მითითებული ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგია, რომელიც ყველა ამ საკითხს აერთიანებს და ზუსტად ამ მიმართულებით წავიდა დაწესებულებაც. ამაზე გადასვლამ შესაძლოა გამოიწვია პრობლემები, რომელიც პროგრამაშია წარდგენილი, მათ შორის პრაქტიკის საკითხიც. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ეს აუცილებლად იქნება გათვალისწინებული, რომ ყველგან იყოს ისეთი პირობები, როგორიც ნავთობ-ტერმინალზეა არ არის სხვაგან, მათ დაგეგმილი აქვთ პორტის გადაზიდვების განყოფილებასთან ახალი მემორანდუმის გაფორმება, სადაც ასეთი პირობები არ ექნებათ და ექსპერტების რჩევას აუცილებლად გაითვალისწინებენ, იქნება გამოყოფილი საათები დამოუკიდებელი მუშაობისათვის, ასევე ჩამოაყალიბეს საკითხი ისე, რომ დამსწრე საზოგადოებას გაეგო რა გამოწვევების წინაშე იდგნენ, როდესაც მიიღეს ეს გადაწყვეტილება.

ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ დააფიქსირა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია, რომ მათი აზრით ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამაა, დაეთანხმნენ სახელის ცვლილებასაც, რომელიც ხსდომაზე

იქნა ნახსენები, მნივნელოვანი იყო ექსპერტების მიერ დამსაქმებლებთან შეხვედრა, მიუხედავად იმისა, რომ დასკვნაში ყველაფერი ობიექტურად გადმოსცეს, გამოთქვამს პოზიტურ დამოკიდებულებას პროგრამის არსებობასთან დაკავშირებით და ფიქრობენ, რომ რეგიონში უნდა იყოს ასე ვიწრო სფეროზე კონცენტრირებული პროგრამა და ეს არის ექსპერტების ზოგადი დამოკიდებულება, დანარჩენი კი ექსპერტთა დასკვნაში ნათლად არის წარმოდგენილი.

ექსპერტმა დააზუსტა კონცენტრაციებთან დაკავშირებით, რომ კონცენტრაციებს თავისთავად უნდა ჰქონდეს გაწერილი სწავლის შედეგი, მაგრამ ძირითად სწავლის შედეგებში ტრანსპორტირებისა და გადამუშავების საკითხები, როდესაც საუბარია, მაგ., ანგარიშობს ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების პროცესებს და ა.შ. ტრანსპორტირება და გადამუშავება, ამ შემთხვევაში ასახულია, თუმცა გადამუშავების ტექნოლოგია, იგივე კლასიფიკატორში არის სხვაგან და ეს კონცენტრაცია არის მხოლოდ 15 კრედიტის მოცულობით. ძირითადად, დეტალური სფეროს შესაბამისობასთან პრობლემა არ არის, აქედან გამომდინარე მაინც ჩათვალეს საჭიროდ, რომ კანონმდებლობის შესაბამისად ეს რეკომენდაცია ყოფილიყო გაცემული და მანაც დააფიქსირა დადებითი დამოკიდებულება პროგრამის მიმართ.

საბჭოს წევრიმა, გიორგი თურქიამ ისაუბრა პროგრამის მიზნებზე, რომ პირველივე მიზანი არის აბსტრაქტული, რადგან ფაქტობრივად ცოდნის ყველა მიმართულებაა ჩამოთვლილი: ზუსტი, საბუნებისმეტყველო, მათემატიკა, ჰუმანიტარული და ზოგადად ფართო ცოდნა ეძლევა სტუდენტს. გამოთქვა მოსაზრება, რომ არ შეიძლება ნავთობის მოპოვების მიზანი იყოს ასეთი ფართო, ბაკალავრიატში კი არსებობს თავისუფალი კრედიტი და ამის მიზანში გამოტანა, არ არის მიზანშეწონილი. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ დააკორექტირეს მიზანი, მისთვის გაუგებარი იყო როგორ დააკორექტირეს. რაც შეეხება მეორე მიზანს, ის ბულეტებადაა ჩაშლილი და ესეც აბსტრაქტული მიზნებია, ასევე კურსის დონეებზეა ჩაწერილი მიზნები, მაგ., კომპიუტერული ტექნოლოგიები და ა.შ. მისი მოსაზრებით პროგრამის მიზანი არ შეიძლება იყოს რა კურსიც ისწავლება ის კურსი პროგრამის მიზნებში გატანილი.

ექსპერტების მიერ აღნიშნული საკითხებს შორის, ძალიან მნიშნვნელოვანია ეკოლოგიის საკითხები, რაც აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს, განსაკუთრებით ნავთობის მოპოვების მიმართულებით და პროგრამას უნდა დაემატოს სასწავლო კურსი სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, რადგან ყველა დიდი ნავთობის მწარმოებელი კომპანია, მნიშვნელობა არ აქვს ნიგერიული კომპანია იქნება თუ მექსიკური ძალიან ფართოა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათ ჰქონდეთ სოციალური პასუხისმგებლობა, შესაძლებელია მათ არც უნდოდეთ სოციალური პასუხისმგებლობის აღება, თუმცა ასეთი ტენდენციაა და სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში რა პროექტებიც კეთება და ა.შ. უნდა ისწავლებოდეს.

საბჭოს წევრმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ერთ-ერთი სასწავლო კურსის „შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“ ორი კომპონენტი არ არის თანხვედრაში ერთმანეთთან, საგანგებო სიტუაცია და შრომის უსაფრთხოება სრულიად სხვადასხვაა, რა საერთაშორისო დოკუმენტები და ნორმატიული აქტებია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ამის სწავლა მნიშვნელოვანია და საგანგებო სტუაციების მართვა ცოტა ძველია, აღნიშნული კურსის სილაბუსი საკითხს არ პასუხობს.

მისი თქმით ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათ პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი პროგრამების მართვის შესახებ, ლოგისტიკა/ტრანსპორტირებას რაც შეეხება ოპერაციათა კვლევა ძალიან მნიშნვნელოვანია, დასაწყობება და ა.შ.

საბჭოს წევრი დაინტერესდა ნავთობის მოპოვების კუთხით სად გადიან სტუდენტები პრაქტიკას, რა კომპანიებში, რა ორგანიზაციებში. მას აინტერესებს ბათუმისა და სუფსის ტერმინალი რა კავშირშია მოპოვებასთან, განსაკუთრებით ნედლი ნავთობის დასაწყობება და ა.შ. კახეთში მიდიან თუ ჰქონდათ შავ ზღვაზეც ნავთობის მოპოვების მცდელობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს რჩევებისათვის, განაცხადა, რომ ხშირად ხდება, როცა სპეციალისტები საუბრობენ ერთიდაიგივე თემაზე, თუმცა სხვადასხვა ენით, ამის მთავარი პრობლემა და მიზეზია, ის რომ არ არის შემუშავებული დარგობრივი სტანდარტი, რომელიც ყველაფერს დაალაგებდა და გამოასწორებდა. დაწესებულებას რა გამოცდილებაც ჰქონდა დაახლოებით გააკეთეს დარგობრივი სტანდარტი/მონახაზი, თუმცა ეს რა თქმა უნდა არ არის ის დოკუმენტი, რომლითაც 100%-იანად ყველამ უნდა იხელმძღვანელოს, ამის გამოცდილება ჰქონდა ფაკულტეტის დეკანს, რადგან ის არის არქიტექტურისა და მშენებლობის საკვლაიფიკაციო პროგრამის წარმომადგენელი. ისინი მუშაობდენენ დარგობრივ სტანდარტზე, ასევე გაიზიარეს უცხოური გამოცდილებაც და გააკეთეს მონახაზები, რომლიდან გამომდინარე დაალაგეს აღნიშნული მიზანი, რა არის მისი დანიშნულება და სწორედ ბუნებისმეტყველების მერე გადადის შედეგებში, რადგან ზუსტი მექანიკისა და სხვა მეცნიერებების გამოყენებით ახდენს იმ პრობლემების გადაწყვეტას, რომელიც ეხება ნავთობს და ა.შ., ამიტომ გაჩნდა მიზნის ერთ-ერთ მიმართულებაში, რომ დარგობრივ სტანდარტშიც დაახლოებით ასე ლაგდება.

ფაკულტეტის დეკანმა განმარტა, რომ პრაქტიკების საკითხთან დაკავშირებით ექსპერტებმა მისცეს რეკომენდაცია, რომ განაახლონ მემორანდუმები. თავიდან ბოლომდე პრაქტიკის გავლის საკითხი, რომ პროგრამის წარმომადგენლებს აქვთ ძალიან თბილი და კარგი ურთიერთობა დამყარებული უცხოურ კომპანიებთან (ყაზახური, აზრებაიჯანული, ინგლისური კომპანიები), რომლებიც არიან ბაზრის ძირითადი წარმომადგენლები, მათთან გააფორმეს მემორანდუმები და კომპანიები მაქსიმალურად თანამშრომლობენ მათთან. არის საინტერესო პროცესები, ტრანსპორტირების შესახებ, არის ძალიან დიდი ესტაკადები, სარკინიგზო ეშელონები, სტუდენტი ეცნობა როგორ ხდება გადატვირთვის, ჩამოსხმის, შემდეგ მისი გაშვების პროცესები, ეს არის მათ მიზნებთან და შედეგებთან დაკავშირებით, მიზნების დალაგება, ყველანაირად შეიძლება, მას იმედი აქვს, რომ ცენტრი შექმნის დარგობრივ სტანდარტს, რომელიც უფრო დააზუსტებს მათ მიზნებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროექტების მართვის შესახებ სასწავლო კურსი ძალიან კარგი იდეაა და აუცილებლად გაითვალისწინებენ. ასევე, ისაუბრა პრაქტიკის მოპოვებასთან დაკავშირებით, მათ ყურადღება ჰქონდათ გამახვილებული ტრანსპორტირებისა და გადამუშავების პროცესზე, რაც შეეხება მოპოვების საშუალებას სუფსის ტერმინალი არის ამასთან დაკავშირებით, რომელიც სრულიად საკმარისია საბაკალავრო პროგრამისათვის და სუფსის ჭაბურღილი ძალიან ეხმარება დაწესებულებას, ამასთანავე მათ აქვთ დაწერილი სტატიები აღნიშნულ ჭაბურღილთან დაკავშირებით. სოციალურ პასუხისმგებლობაზე, შრომის უსაფრთხოებასა და საგანგებო სიტუაციებზე იყო საუბარი, მან თქვა, რომ ეს ყველაფერი შესაძლებელია გაერთიანებული იყოს ერთი სათაურის კატასტროფების რისკის მართვაში, ძალიან მნიშვნელოვანია ეს საკითხი, მთელი ქვეყანა აირიდებს ამ პროცესებს. მისთვის საინტერესოა სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც საგანი.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ დააკონკრეტა, რომ შესაძლებელია არ იყოს საგანი, თუმცა უნდა ისწავლებოდეს. აღნიშნა, რომ ძალიან დიდი პრობლემა იყო მექსიკის ყურესთან დაკავშირებით, რაც ბეირუთში მოხდა, შენახვა და პრობლემები და ა.შ.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ ძალიან აქტუალური იდეებია და აუცილებლად გათვალისწინებენ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:28
დასრულების დრო: 15:37

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ნავთობისა და გაზის მოპოვების ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

- **საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება.

კერძოდ, პირველი და მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
ა) პროგრამის მიზნებში განისაზღვროს ის უნარები და კომპეტენციები, რომლის მიღწევაც არის დაგეგმილი პროგრამის კურსდამთავრებულთათვის;
ბ) პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და თვითშეფასების ჯგუფმა გამოასწოროს ის შეუსაბამობები, რომლებიც უკავშირდება პროგრამის მიზნების განსაზღვრას;
გ) პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს ის ცოდნა და უნარები დეტალური სფეროს აღწერის შესაბამისად, (ნავთობის და გაზის მარაგების შეფასება), რომლებსაც პროგრამა, სასწავლო კურსების და შესაბამისი თემატიკების გათვალისწინებით, რეალურად აძლევს კურსდამთავრებულებს;
დ) შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები პროგრამის სწავლის შედეგებისთვის;
ე) პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და თვითშეფასების ჯგუფმა გამოასწოროს ის შეუსაბამობები, რომლებიც უკავშირდება პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრას;
ვ) გაიწეროს პროგრამაში გათვალისწინებული კონცენტრაციების სწავლის შედეგები;
ზ) პროგრამის სასწავლო გეგმაში და სილაბუსებში გასწორდეს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები;
თ) დაიხვეწოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და გასწორდეს ჩამოთვლილი შეუსაბამობები;
ი) გასწორდეს შეუსაბამობები სასწავლო კურსების სწავლის შედეგებსა და შინაარსს შორის;
კ) განახლდეს სასწავლო კურსების: „ეკოლოგია და გარემოს დაცვა“, „ნავთობქიმიის საფუძვლები“, „გამოყენებითი ქიმია“, „შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“, „თბოტექნიკა“ შინაარსი;
ლ) პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა იზრუნოს სასწავლო ლიტერატურის განახლებაზე და სილაბუსებში მიეთითოს თანამედროვე ლიტერატურა;
მ) გაიზარდოს საწარმოო პრაქტიკის კრედიტის მოცულობა და საათების რაოდენობა, გასწორდეს შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობები;

ნ) სტუდენტებმა საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისას გამოიყენონ თანამედროვე ლიტერატურა;
ო) მემორანდუმების განახლება და იმ ორგანიზაციების რიცხვის გაფართოება, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებას;
პ) გასწორდეს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის ჩანაწერი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ვალდებულებას დაესწროს სალექციო მეცადინეობების მინიმუმ 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება და ეს ჩანაწერი შესაბამისობაში მოიყვანოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანებასთან;
ჟ) განახლდეს პროგრამის შესაბამისი სასწავლო ლიტერატურა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში;
რ) გადაიხედოს პროგრამის ბიუჯეტი და გაითვალოს დაწყების წლიდან ოთხი წლის ჩათვლით;
ს) ბიუჯეტში ხარჯების სტრუქტურა დეტალურად იყოს ჩაშლილი შესაბამისი მუხლების მიხედვით;
ტ) პროგნოზირებულ ბიუჯეტში, შემოსავლები აღებული იქნას რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით ან მოქმედი პროგრამის მონაცემებზე დაყრდნობით;
უ) მნიშვნელოვანია თვითშეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობის უზრუნველყოფა;
ფ) გაუმჯობესდეს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მოქმედების ეფექტურობა, თვითშეფასების პროცესების სწორად წარმართვისა და პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის;
ქ) პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება;
ღ) რეკომენდირებულია პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრიოს 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების დანართი №2-ით დამტკიდებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-6 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებთან;
ყ) რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის გადახედვა და განახლება;
შ) რეკომენდირებულია პროგრამას დაემატოს ლოგისტიკის სასწავლო კურსი;
ჩ) რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში აისახოს სილაბუსებში მითითებული პრაქტიკული და ლაბორატორიული საათების რაოდენობა.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 3^2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 3^2 პუნ ქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ნავთობისა და გაზის მოპოვების ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია ორი წლის ვადით.

სხდომის მიმდინარეობისას ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს სხდომაზე დააყენა ორი შუამდგომლობა.

2. მეორე საკითხი: საბჭოს მიერ 2020 წლის 31 ივლისიდან დღემდე მიღებულ აკრედიტაციის ან პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრასთან დაკავშირებული შუამდგომლობის განხილვა

სხდომის მიმდინარეობისას უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლაშა მარგიშვილმა საბჭოს სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრასთან დაკავშირებით. კერძოდ მიზანშეწონილია 2020 წლის 31 ივლისიდან მიღებულ აკრედიტაციის ან პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებებში, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო არა გადაწყვეტილების ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნების თარიღი, არამედ, საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების და დაწესებულებისთვის ზეპირად გამოცხადების თარიღი, კერძოდ საბჭოს სხდომის ჩატარების დღე.

აღნიშნული ცვლილების საჭიროება გამომდინარეობდა აბიტურიენტების ინფორმულობიდან. კერძოდ, როგორც საბჭოს წევრებს მოეხსენებათ, ერთიანი ეროვნული გამოცდები იყო უკვე დასრულებული და აბიტურიენტებს ჰქონდათ დადგენილი წესის შესაბამისად, არჩეული პროგრამების ცვლილების შესაძლებლობა. სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ოფიციალურ ანკეტა-კითხვარში განთავსებულ პროგრამების ნაწილს უახლოეს პერიოდში ეწურებოდა აკრედიტაციის ვადები და აღნიშნულ პროგრამებზე აკრედიტაციის საბჭოს 31 ივლისიდან დღემდე უკვე ჰქონდა მიღებული შესაბამისი პოზიტიური ხასიათის გადაწყვეტილებები. შესაბამისად, იმისათვის, რომ აბიტურიენტებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამების სტატუსებთან დაკავშირებით, მათი ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღები განისაზღვროს იმ დღით, როდესაც საბჭომ ზეპირ მოსმენაზე იმსჯელა და მიიღო შესაბამისი პოზიტიური შინაარსის გადაწყვეტილება, რადგან გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღის გადავადებამ 10 სამუშაო დღით, შესაძლოა აბიტურიენტს უბიძგოს გააკეთოს მისთვის არასასურველი არჩევანი. ლაშა მარგიშვილის განმარტებით, სწორედ ამ ინტერესს ემსახურება ეს შუამდგომლობა, რომ მაქსიმალური ინფორმირება მოხდეს სტუდენტების, თუ პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია სტუდენტს არ ჰქონდეს განცდა, რომ პროგრამას გასული აქვს უკვე ვადა. ლაშა მარგიშვილის მოსაზრებით, მიზანშეწონილია საბჭოს აღნიშნული პრაქტიკა გაეგრძელებინა 2020 წლის 15 სექტქმბრამდე აკრედიტაციის მინიჭების ან პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შეესახებ მისაღებ გადაწყვეტილებებზეც, ვინაიდან აღნიშნული თარიღი და ანკეტა-კითხვარში ინფორმაციის დროულად განახლება ასევე მნიშვნელოვანი იყო მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის. აღნიშნული შუამდგლომლობა საბჭოს მიერ იქნა ერთხმად გაზიარებული.

ზემოაღნიშნული შუამდგომლობის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შუამდგომლობა, რომ 2020 წლის 31 ივლისიდან დღემდე აკერდიტაციის მინიჭების ან პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღებად განსაზღვრულიყო აკრედიტაციის საბჭოს შესაბამისი სხდომის ჩატარების თარიღი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საბჭომ გადაწყიტა, რომ 2020 წლის 31 ივლისიდან 2020 წლის 14 აგვისტოს ჩათვლით აკრედიტაციის ან პირობითი აკრედიტაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღებად განსაზღვრულიყო აკრედიტაციის საბჭოს შესაბამისი სხდომის ჩატარების თარიღი.

3. მესამე საკითხი: „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს - კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის, "ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" 2020 წლის 12 მარტის N31 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

თვითაცილება განაცხადეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: ნიკოლოზ კიკნაძემ, გურანდა ჭელიძემ.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს - კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის, "ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. კერძოდ, გადაწყვეტილების დანართი 1-ის პირველი პუნქტში მოცემული პროგრამის სახელწოდება ნაცვლად "შრომითი ურთიერთობები და ევროპული ინტეგრაცია" ჩამოყალიბდეს, როგორც - "ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები".

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს - კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და გადაწყვეტილების დანართი 1-ის პირველ პუნქტში გათვალისწინებული პროგრამის სახელწოდების - "ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობების" ჩამოყალიბების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს - კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" გადაწყვეტილების დანართი 1-ის პირველი პუნქტი ნაცვლად "შრომითი ურთიერთობები და ევროპული ინტეგრაცია" ჩამოყალიბდეს, როგორც "ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები".

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „საზღვაო ნავიგაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზღვაო ნავიგაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	საზღვაო მეცნიერების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ინგლისური
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, რუსთაველის ქ. 53
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 17 ივნისს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა ინგლისურენოვანი პროგრამის „საზღვაო ნავიგაცია“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა შესრულებულია ძალიან კარგად, ეს არის რეგურილებადი პროგრამა და აგებულია, ფაქტრობრივად, ქართულ ენაზე დაყრდნობით, შესაბამისად მთლიანი პროგრამა დამაკმაყოფილებელია.

მისი თქმით გამოვლინდა 3 რეკომენდაციის საჭიროება:

- დაიხვეწოს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სადაც მიზნები წარმოდგენილი იქნება, მაგ. ჰორიზონტალურ, ხოლო სწავლის შედეგები ვერტიკალურ გრაფებში და მითითებული იქნება კონკრეტული სწავლის შედეგები;
- მიზანშეწონილია ქართული ენის მასწავლებელს ჩაუტარდეს შესაბამისი ინგლისური ენის კურსები, რათა მიაღწიოს ინგლისური ენის საშუალო დონეს ან განხილულ იქნას სხვა მასწავლებლის დანიშვნის საკითხი;
- ექსპერტებთან ვერ იქნა წარმოდგენილი თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამიტომ გასცეს რეკომენდაცია, რომ მომავალში დაწესებულებამ უზრუნველყოს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებების შეგროვება და შემდეგ წარმოდგენა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამას აქვს ძალიან კარგი საწვრთნელი ბაზა და ყველა მასწავლებელი ძალიან კარგად ფლობს ინგლისურ ენას, საკამოდ პროფესიონალი კადრები ჰყავთ ტექნიკური თვალსაზრისითაც, შესაბამისად გაიცა დადებითი დასკვნა მოცემული პროგრამის აკრედიტაციისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების რექტორმა პირველ რიგში მადლობა გადაუხადა ექსპერტებს დადებითი შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ საქართველოს საზღვაო განათლების სისტემაში პირველად მოკიდეს ხელი პროგრამას ნავიგაციის მიმართულებით და ამ ყველაფერმა წარმატებულად იმუშავა.

რაც შეეხება ექსპერტის განმარტებას დაწესებულების აღჭურვილობასთან და სიმულატორულ ცენტრებთან დაკავშირებით, დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ მათ უკვე აქვთ სატენდეროდ გამზადებული დოკუმენტაცია და ძალიან ბევრ რამეს ყიდულობენ ლაბორატორიისთვის, რათა პრაქტიკული მიმართულებით, რაც შეიძლება კარგ შედეგებზე/უნარებზე და პრაქტიკულ განათლებაზე გავიდეს პროგრამა. საზღვაო განათლება უფრო პრაქტიკულ უნარებზეა მიმართული, ამიტომ დაწესებულება ყველაფერს გააკეთებს, რათა ყველა ის რჩევა/რეკომენდაცია გაითვალისწინონ, რაც გაიცა ექსპერტების მიერ, ისინი ჩართულნი იქნებიან პროგრამის განვითარებისა და გაახლების საკითხებში, რომ შეესაბამებოდეს, როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო სტანდარტებს და მათი მიზანია პროგრამის კურსდამთავრებულები იყვნენ კონკურენტუნარიანები და მარტივად დასაქმედნენ საერთაშორისო ბაზარზე.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ მათთან ძალიან კონსტრუქციული დიალოგი ჰქონდათ, მისი თქმით დაწესებულება სრულიად ეთანხმება ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, რომ დასახვეწია პროგრამის მიზნებისა და სწავლების შესაბამისობის რუკა. თუმცა ეს რუკა წარმოდგენილია პროგრამაში, მეთოლოგიურად დასახვეწია, რაზეც უკვე დაიწყეს მუშაობა. რაც შეეხება ქართული ენის მასწავლებელს, ორივე მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა, დაწესებულებას აქვს ინგლისური ენის აკადემიური დეპარტამენტი და ამზადებენ იმ ელემენტარული ინგლისური ენის ცოდნაში, რომ შეძლოს კომუნიკაცია უცხოელ სტუდენტებთან, ასევე ყოველწლიურად აცხადებენ კონკურსს და იზიდავენ მოწვეულ მასწავლებლებს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისთვის.

რაც შეეხება, მესამე რეკომენდაციას, ნებისმიერი პროგრამის მომზადების პროცესში დგება თვითშეფასების ჯგუფი, რომელიც მტკიცდება წინასწარ, მათ აქვთ შეხვედრები, რის შედეგაც

უკვე წარმოდგენილი პროგრამა და შემდეგ თვითშეფასება იგზავნება ხარისხშის უზრუნველყოფის სამსახურში, თუმცა ამ ეტაპზე ჩანაწერები არ გაუკეთებიათ, ამის მიზეზი იყო ის, რომ დაწესებულებასს აქვს ანალოგიური ქართული პროგრამა, რომელსაც ახორციელებენ საზღვაო აკადემიაში. შესაბამისად მცირე ცვლილებები შეიტანეს ინგლისური ენის მიმართულებით, რადგან სასწავლო პროცესში ჩართული უნდა იყვნენ უცხოელი სტუდენტებიც.

რაც შეეხება რჩევას, პირველად ანგარიშში 12 რჩევა იყო მითითებული, თუმცა ექსპერტებმა გაითვალისწინეს არგუმენტირებულ პასუხში მოყვანილი ფაქტობრივი ვითარებები.

საბჭოზე განიმარტა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან, როგორც დარგის სპეციალისტები, ასევე მოქმედი მეზღვაურები, მოწვეული პერსონალი, მან აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი და ინფრასტრუქტურა შეესაბამება და აძლევს აღნიშნული პროგრამის სრულყოფილად გახორციელების შესაძლებლობას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ კითხვები ან მოსაზრებები არსებობის შემთხვევაში.

საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა დააფიქსირა თავისი დამოკიდებულება დაწესებულებისა და ექსპერტთა ჯგუფის მიმართ. განმარტა, რომ თავად მოუწია მუშაობა დაწესებულების წარმომადგენლებთან ერთად აღნიშნული პროგრამის ქართულ ვერსიაზე, სადაც ჩართული იყო საერთაშორისო ექსპერტი და იმთავითვე, როდესაც იმყოფებოდნენ დაწესებულებაში აღინიშნებოდა დარგობრივ მახასიათებელთან ქართული პროგრამის სრული თავსებადობა და საერთაშორისო სტანდარტთთან (SDCW), აღნიშნული პროგრამის აკრედიტაცია წარმატებით განხორციელდა. აღნიშნულ ინგლისურენოვან პროგრამას მხოლოდ და მხოლოდ მიესალმება და გამოთქვა თავისი მოსაზრება, რომ ბევრ საერთაშორისო (როგორც ჩვენი, ასევე სხვა ქვეყნებიდანაც) პოტენციური სტუდენტები დაინტერესდებიან და გააგრძელებენ სწავლას და ეს კარგი იქნება, როგორც რეგიონისთვის, ასევე ქვეყნისთვისაც.

საბჭოს წევრი დააინტერესა რომელ ქვეყნებზეა პროგრამა გათვლილი, საიდან შეიძლება დაინტერესდნენ, ჩამოვიდნენ, ვისთან მიმდინარეობს თანამშრომლობა, მოლაპარაკებები და აღნიშნა, რომ დაინახა პოზიტიური ცვლილებები ინგლისურენოვან პროგრამაში, გააძლიერებულია თანამედროვე ტექნოლოგიების, სატელიტური ნავიგაციის გამოყენება საზღვაო კომუნიკაციისა და რადიონავიგაციული სისტემის სასწავლო კურსებში, მისასალმებელია Cospas-Sarsat-ის საკითხების გაძლერება, რადიოლოკაციურ სისტემებთან მიმართებითაც, სრულად თანამედროვე ტექნოლოგიებია სილაბუსებში გათვალსწინებული და მას აინტერესებდა ლიტერატურის საკითხები. ქართულ ენაზე ლიტერატურის საკითხი ბუნებრივია არ დასტურდება და დიდი გამოწვევაა ინგლისურ ენაზე შესაბამისი ლიტერატურის ჩართვა და უზრუნველყოფა, თუმცა ამ კუთხით რა დონეზეა სართაშორისო თანამშრომლობა და პარტნიორები ლიტერატურით უზრუნველყოფის საკითხებში საინტერესო იქნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს. აღნიშნული დაწესებულებისა და პროგრამისადმი დაინტერესებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ძალიან ბევრ სტუდენტს უნდოდა საზღვარგარეთიდან ამ მიმართულებით სწავლა და ძალიან ბევრი სააგენტო მუშაობს ამ მიმართულებით. რადგან ახალ სტუდენტებს მოუწევდათ ქართული ენის სწავლა მათთვის ბარიერი იყო და სწორედ ამან განაპირობა ინგლისურენოვანი პროგრამის შექმნა. დაწესებულებას ძალიან ბევრი პუბლიკაცია აქვს, მათ ძირითად „კლიენტებად“ მოიაზრება თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქმენეთი და ინდოეთი.

შესაძლებელია დაწესებულება სრულად მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს, თუმცა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მიიღონ სტუდენტები და კარგი განათლება მისცეს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით საზღვაო ლიტერატურა ქართულ ენაზე ნაკლებია და დაწესებულება ცდილობს მაქსიმალურად თარგმნონ. თუმცა, რადგან ახალი პროგრამა ინგლისურენოვანია მათ აქვთ ლიტერატურა და ვინაიდან დაწესებულება არის საერთაშორისო საზღვაო უნივერსიტეტების ასოციაციის წევრი, უკვე 2 წელია არის ბორდის წევრიც და უნივერისტეტებთან მუდმივად ჩართულობამ მისცა საშუალება რამდენიმე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან ჰქონდეთ დისტანციური წვდომა და განახლდა მათი ბიბლიოთეკა თანამედროვე საზღვაო ლიტერატურით, რაც საბჭოს წევრმა უკვე აღნიშნა Cospas-Sarsat და ა.შ. ლიტერატურაც შეძენლია და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ეცდებიან, რომ სტუდენტებს მისცენ კარგი განათლება, ასევე შეისყიდეს რამდენიმე პროგრამული უზრუნველყოფა, რაც დაეხმარებათ ინგლისურენოვანი განათლების მიცემაში.

საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა იგეგმება თუ არა უცხოელი პერსონალის/სპეციალისტების ჩართვა.

რექტორმა უპასუხა, რომ აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს, აქვთ თანამშრომლობა ორი შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტთან, ასევე მათი პატნიორია და პროცესებში ჩართულობის სურვილის მქონეები, სტამბულში ძალიან დიდი უნივერსიტეტი და მისი საზღვაო ფაკულტეტის ორი პროფესორი/კაპიტანი და გერმანიის უნივერსიტეტის ნავიგაციის ფაკულტეტის დეკანი და ვისმარის გერმანიის უნივერსიტეტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:11
დასრულების დრო: 16:25

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „საზღვაო ნავიგაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 4 წლის ვადით აკრედიტაციის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

- **საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
ა) დაიხვეწოს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
ბ) რეკომენდირებულია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, რომელსაც არ უდასტურდება ინგლისური ენის ფლობის შესაბამისი კომპეტენცია, ჩაუტარდეს ინგლისური ენის დონის გაუმჯობესების კურსები და მოხდეს ცოდნის დადასტურება მინიმუმ B2 დონის სერტიფიკატებით.

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის

პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „საზღვაო ნავიგაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიანიჭა აკრედიტაცია.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული სტომატოლოგის“ ერთსაფეხურიანი რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2012 წლის 6 სექტემბრის N361 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	რუსული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0177 (0186) ვაჟა-ფშაველას გამზ. N33
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

დიახ

თვითაცილება განაცხადეს - გაიანე სიმონიამ, ეკა ეკალაძემ და ზურაბ ორჯონიკიძემ.

თვითაცილების საფუძველი: ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ 25 ივნისს განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი თსსუ-ში, ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და კეთილგანწყობილ ატმოსფეროში, დაწესებულების მიერ შექმნილი იყო კომფორტული სამუშაო გარემო, ინტერვიუები ჩატარდა, როგორც ადმინისტრაციულ პერსონალთან, ასევე აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან. ინტერვიუ ხორციელდებოდა წინასწარ განსაზღვრული დროის განმავლობაში, დაცული იყო რეგლამენტი, ინტერვიუზე გამოცხადდა ყველა პირი, უსდ-ის მიერ მიწოდებული იყო ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაცია ვიზიტის დასრულებამდე, ამ დოკუმეტაციის შესწავლის, ინტერვიუების ანალიზისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დათვარიელების შედეგად, გამოიკვეთა, რომ პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, როგორც პროგრამის მიზანი, ასევე შედეგები რეალისტური და მიღწევადია.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე სტანდარტების სტომატოლოგიის პროგრამის განხორციელება, აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაციები ესადაგება თვითშეფასებაში გაწერილ გასაუმჯობესებელ აქტივობებს, რასაც ხაზი გაესვა ინტერვიუების პროცესში დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდანაც, რეკომენდაციები ძირითადად ეხება:

- კონკრეტულ სასწავლო კურსებს, რომელთა სილაბუსებშიც არ არის ზედმიწევნით გაწერილი ქულების მინიჭების კრიტერიუმები შეფასებისას, მათ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებდეს შედეგების გაზომვადობას და უნდა იყოს კონკრეტიზირებული, რაც საჭიროა როგორც ლექტორების, ასევე სტუდენტებისთვისაც შეფასების სრული ობიექტურობისთვის;
- ინტერვიუს პროცესში პერსონალმა აღნიშნა, რომ სტუდენტების კონსულტირება უწყვეტი პროცესია და ინფორმაცია ამის შესახებ გამოკრულია ადმინისტრაციულ კორპუსში, თუმცა ექსპერტების აზრით აუცილებელია საკონსულტაციო საათების მითითება სილაბუსებში;
- საბაზისო სასწავლო კურსებში მოძველებულია ლიტერატურა და საჭროებს განახლებას, მითუმეტეს, რომ ბოლო წლებში გამოცემულია ახალი რუსულენოვანი სახელმძღვანელოები;
- გარკვეული საგნების სილაბუსებში გამოვლინდა გასასწორებელი ტექნიკური ხარვეზები.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ცენტრის წარმომადგენელსა და ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის, პროგრამის სათანადოდ შეფასებისა და კეთილგანწყობისთვის.

მან აღნიშნა, რომ დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებს ექპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს საგნამანათლებლო პროგრამის მიმდინარეობის პროცესში, გაანალიზებენ რჩევებსა და რეკომენდაციებს, რეკომენდაციები ემთხვევა თვითშეფასების დოკუმენტში უკვე მითითებულ გასაუმჯობესებელ მხარეებს და რა თქმა უნდა ამას ყველაფერს გაითვალისწინებენ ეტაპობრივად პროგრამის განხორციელებისას.

რაც შეეხება რეკომენდაციას საკოკონსულტაციო საათებთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ყველა დეპარტამენტში აქვს საკონსულტაციო საათები და გამოკრულია ყველა დეპარტამენტში თითოეული პედაგოგი როდის ატარებს კონსულტაციას, მაგრამ ეს რეგულირდება სემესტრების მიხედვით, ყველა სემესტრში არის განსხვავებული ცხრილი და შესაბამისად სემეტრის დაწყებისას ვლინდება და რეგულირდება შესაბამისი წესის მიხედვით. თუმცა იმსჯელებენ რეკომენდაციაზე, როგორ შეიძლება გაიწეროს სილაბუსში.

დაწესებულების წარმომადგენელმა პროგრამის ქულების მინიჭების კრიტეტიუმებზე განაცხადა, რომ გაითვალისწინებენ სილაბუსებში, სადაც არის ამის პრობლემა, თუმცა რეკომენდაციების გაცემიდან მათ უკვე დაიწყეს ამ თემებზე მუშაობა და აუცილებლად განახორციელებენ.

რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობს ლიტერატურის განახლებას საბაზისო საგნებში, დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა და ასევე აღნიშნა, რომ, როგორც ყოველწლიურად აღნიშნულ წელსაც შეიძინა დაწესებულებამ გარკვეული რაოდენობის წიგნები.

დაწესებულების წარმომადგენელმა სილაბუსებში ტექნიკურ ხარვეზებზე აღნიშნა, რომ სილაბუსები გასაახლებელია და როდესაც შეცვლიან გამოასწორებენ ტექნიკურ ხარვეზებსაც ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ კითხვები ან მოსაზრებები არსებობის შემთხვევაში.

საბჭოს წევრის მანანა კევლიშვილის აინტერესებდა, ვინაიდან პროგრამა არის რუსულენოვანი, ვისთვის არის ეს პროგრამა განკუთვნილი და დაწესებულებას თავის თვითშეფასებაში ასახული აქვს, რომ ჰყავს 84 სტუდენტი და არცერთი არ არის უცხო ქვეყნის მოქალაქე, ანუ არ აქვთ მითითებული, რომ ჩარიცხულია უცხო ქვეყნის მოქალაქე, ვინ არის ეს სტუდენტები, ხომ არ არიან ესენი საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რუსულ ენაზე სწავლობენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ესენი არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მათ მიღების წესშიც აქვთ განსაზღვრული, რომ მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეები ირიცხებიან აღნიშნულ პროგრამაზე.

საბჭოს წევრმა განმარტა, რომ რაკი თვითშეფასებაში მიღება, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქე წერია, დაწესებულებას ეს რაოდენობა სხვა გრაფაში აქვს მითითებული, მან ჩათვალა, რომ ესენი საქართველოს მოქალაქეები იყვნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე არ არის არცერთი საქართველოს მოქალაქე.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, რადგან პროგრამა ახალი კვალიფიკაციის ჩარჩოთია შემოტანილი, ხოლო შედეგები არის ძველი ჩარჩოს მიხედვით გაწერილი, ზოგ სილაბუსში არის ძველი ვარიანტი, ზოგში ახალი და სთხოვა ესაუბრათ ამ საკითხზე.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი ეტაპობრივად გადადიან ახალ ჩარჩოზე და დადგენილ ვადაში განახორციელებენ, რადგან მათ გაცხადება შეტანილი ჰქონდათ

23 დეკემბერს და 20 თებერვლამდე შეიძლებოდა ძველი ჩარჩოთი წარდგენა, ახლა მუშაობენ ამ საკითხზე და ნოემბრის ბოლომდე აქვთ უფლება, რომ გადავიდნენ ახალ ჩარჩოზე და ახალი ჩარჩო უფრო ადრეც ექნებათ მზად.

საჭოს წევრი დაინტერესდა შეუძლია თუ არა საქართველოს მოქალაქეებს აღნიშნულ პროგრამაზე ჩაბარება.

თსსუ-ის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ საქართველოს მოქალაქეს არ შეუძლია აღნიშნულ პროგრამაზე ჩაბარება.

საბჭოს წევრი გიორგი თუქია დაინტერესდა იქნებიან თუ არა ქართველები, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ჰყავთ ეთნიკური ქართველებიც, თუმცა ძირითადად აზერბაიჯანელები და ა.შ. უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

საბჭოს წევრმა იკითხა ეხებათ თუ არა მათ ეროვნული გამოცდები და პასუხად მიიღო, რომ არ ეხებათ.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ ექსპერტებს ჰკითხა ურთ-ერთი რეკომენდაციის შესახებ, რომლის თანახმადაც დაწესებულებამ ზედმიწევნით უნდა გაწეროს ქულების მინიჭების კრიტერიუმები შეფასებისას, ეს არ არის იმ ქვესტანდარტის შესაბამისი რეკომენდაცია, სადაც არის მითითებული. ასევე დაინტერესდა რამდენად შეიძლება იყოს რჩევის სახით მოცემული, რომ პროგრამასა და სილაბუსებში სწავლის შედეგები გაიწეროს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №69/ნ ბრძანების შესაბამისად.

ექსპერტმა განმარტა, რომ ამაზე ძალიან ბევრი იფიქრეს რჩევაში ჩაეწერათ თუ რეკომენდაციებში, შესაძლოა ეს რჩევის ნაცვლად რეკომენდაციაში უნდა ყოფილიყო, მაგრამ გაითვალისწინეს, რომ სააკრედიტაციო განაცხადი შეტანილია 2019 წლის 23 დეკემბერს, რაც საშუალებას იძლევა 2020 წლის 29 თებერვლის ჩათვლით წარმოდგენილ სააკრედიტაციო განაცხადში მოცემული დოკუმენტი შეესაბამებოდეს 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებას, ვადა განსაზღვრული იყო 30 სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით, აქვე აღნიშნა, რომ თვითშეფასების დოკუმენტი წარმოდგენილია ახალი კოდით და ამ საკითხზე ექსპერტებმა ცენტრის წარმომადგენლებთანაც გაიარეს კონსულტაცია, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ შედეგები ახალი სტანდარტით უნდა წარმოდგენილიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფმა უპირატესობა შედეგების შინაარსს მიანიჭა.

დიმიტრი გეგენავამ დააზუსტა, რომ ძალიან კარგია ექსპერტებმა შედეგების შინაარს, რომ მიანიჭეს უპირატესობა, მაგრამ ახალი სტანდარტის მიხედვით პასუხისმგებლობა-ავტონომიურობა როგორ ტრანსფორმირდება ძველ შედეგებთან.

ექსპერტის განმარტებით შედეგებში გათვალისწინებული იყო პროფესიონალიზმი, რაც მოიცავს პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის საკითხს შინაარსობრივად.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სილაბუსებში მოცემულია ძველი სტანდარტის მიხედვით და მას ესმის №69/ნ ბრძანებაზე რაც ითქვა, მაგრამ იქ დოკუმენტი ეხება კვალიფიკაციებს და არა მხოლოდ შედეგების მიხედვით შემოტანას, ნებისმიერ სხვა ვარიანტში

ახლით არის შემოსატანი, გამონაკლისი არ არის აღნიშნულ ბრძანებაში, წერია, რომ ძველი კვალიფიკაციებით შეიძლება შემოტანა, ძველი სტილით, 29 თებერვლამდე. აქ საუბარია არა სილაბუსებზე ან შედეგებზე, არამედ მხოლოდ კვალიფიკაციებზე.

ექსპერტი დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას.

თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ როგორც ახალ შედეგებშია ყველაფერი ისე იქნება გაწერილი, რადგან დროზე არ ჰქონდათ შეზღუდვა მზა დოკუმენტაცია იყო ძველი სტილით და ასევე შემოიტანეს, რადგან ამით არაფერი ირღვეოდა.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემაც ზუსტად ეს იკითხა და თვითონაც იგივეს ეკითხება, მათ ჰქონდათ შეზღუდვა, თუმცა მაინც ამ ფორმით შემოიტანეს განაცხადი და სთხოვს ცენტრის წარმომადგენელს ჩაერთოს საუბარში და იმეორებს კითხვას, რომ განაცხადი შემოტანილია ძველი შედეგებით, როდესაც უნდა იყოს ახალი შედეგებით.

ცენტრის წარმომადგენელმა ნინო შიოშვილმა განმარტა, რომ მათ ჰქონდათ ექსპერტებთან კომენტარი და საუბარიც. თებერვლამდე დაშვებადი იყო მაგაზე თანხმდებიან, შეეძლოთ რომ ძველითაც შემოეტანათ №120/ნ-ით ან №69/ნ-ით, მაგრამ თუ დაწესებულება ირჩევს ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოს კოდს მორგებული უნდა იყოს იმ სამ შედეგზე, თუ აირჩევდა №120/ნ-ით კოდს, 6 შედეგით იქნებოდა წარმოდგენილი, მაგრამ აქ დაწესებულებამ აირჩია №69/ნ-ით კოდი და შედეგები იყო 6-ზე გაწერილი. ცენტრის წარმომადგენელი ესუბრა ექსპერტებს, თავიდან ეს იყო რეკომენდაციაში, მაგრამ შემდეგ დაწესებულებამ მიიწერა არგუმენტირებული პოზიცია და იქ ითხოვდნენ გადატანილი ყოფილიყო რჩევაში, რადგან მათ ჰქონდათ ამის გამოსწორების უფლება თებერვლამდე. სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი არის რეკომენდაცია და არ შეიძლება იყოს რჩევა, ასევე, წინასწარ შეახსენებს, რომ სტანდარტზე მოახდენს საკმაოდ დიდ გავლენას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:57
დასრულების დრო: 17:05

- **საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

საბჭოს არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება და მიიჩნია, რომ პირველი სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ უნდა შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები და მიზნები მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან;
ბ) ზედმიწევნით გაიწეროს ქულების მინიჭების კრიტერიუმები შეფასებისას;
გ) ჩაინიშნოს საკონსულტაციო საათები სილაბუსებში;
დ) განახლდეს ლიტერატურა საბაზისო საგნებში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული სტომატოლოგის“ ერთსაფეხურიანი რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 3^2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 3^2 პუნ ქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული სტომატოლოგის“ ერთსაფეხურიან რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მიენიჭა 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაცია.

6. მეექვსე საკითხი: შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "ჯანდაცვის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჯანდაცვის მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2018 წლის 20 ივნისის N72 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	

12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
დიახ,
თვითაცილება განაცხადეს - ნიკოლოზ კიკნაძემ და გურანდა ჭელიძემ

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამამ პირველადი აკრედიტაცია 2018 წელს გაიარა და გარკვეული რეკომენდაციები იქნა გაცემული, მათ მიერ შემოწმდა აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა და დადგინდა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები შესრულებულია, რაც დეტალურად არის აღწერილი დასკვნის ნაწილში პუნქტებად არის გაწერილი სტანდარტებთან მიმართებით, თუმცა მიუხედავად ამისა ექსპერტებმა შეიმუშავეს 2 მთავარი რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია პროგრამის და ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების განსაზღვრისას მეტი ყურადღება დაეთმოს ე.წ. ,,ბლუმის ტაქსონომიის“ გამოყენებას, რაც კიდევ უფრო აღქმადს და გაზომვადს გახდის ამ შედეგებს;
- რეკომენდებულია პროგრამის აღწერილობით ნაწილში მითითებული კრედიტებით გამოსახული პროგრამის სტრუქტურა, მოვიდეს შესაბამისობაში ამავე პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულ ინფორმაციასთან.

გარდა ამ რეკომენდაციებისა ექსპერტებმა ანგარიშში წარადგინეს რჩევებიც, რომლებიც მეტად საყურადღებოა დაწესებულებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორმა განმარტა, რომ ამ ორ რეკომენდაციას ერთ ჭრილში მოიხსენიებს, რადგან მათ აქვთ დაწყებული სამუშაოები აღნიშნული სკოლის ოთხივე პროგრამასთან დაკავშირებით, რადგან ახალ ჩარჩოზე გადაყვანის პროცესში დაწესებულებებს უწევთ ცენტრში პროგრამის წარდგენა, სამუშაო ვერსიაში, ბუნებრივია შედეგები და ყველა ის მოთხოვნა, რაც საჭიროა რომ გაკეთდეს ახალ სტანდარტებთან გადაყვანის ჭრილში, ყველა სამუშაო დაწყებულია და უკვე ბოლოში არიან გასულნი, თუმცა მონიტორინგის დროს გამოთხოვილ დოკუმენტაციაში არ წარადგინეს სამუშაო ვერსია და წარადგინეს მოქმედი პროგრამა, შესაბამისად არ არის მოყვანილი „ბლუმსი ტაქსონომიით“ გაზომვადი ზმნებით აღწერილი შედეგები.
რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას მათ ავტორიზაციის პროცესშიც გაასწორეს მსგავსი ტიპის, ტექნიკური შეცდომები, არსებული უზუსტობები, კრედიტების რაოდენობები სილაბუსში და ეს ყველაფერი გასწორებულია თუმცა ალბათ კიდევ რაღაც შეცდომა „გაიპარა“, რაც გამორიცხულია, რომ იყოს ახალ, დასრულებულ ვერსიაში, რომელსაც წარადგენენ ცენტრში უკვე ახალ ჩარჩოსთან გადაყვანილ ვერსიაში, შესაბამისად, შესაძლებელია ჩაითვალოს, რომ მოცემული რეკომენდაციები უკვე შესრულებულია. რჩევებთან დაკავშირებით ითქვა, რომ ყველა რჩევა ფაქტობრივად გათვალისწინებულია, გარდა ერთის, რომელიც ეხება „პროექტის

მენეჯმენტს“ სავალდებულო საგნად გადატანას. მათ გააკეთეს ე.წ. „ბენჩმარკინგი“, როგორც საქართველოს ბაზარზე, ასევე საზღვარგარეთის ცნობილ უნივერსიტეტებში და ვერსად ნახეს სავალდებულო საგნად, თუმცა ყურადსაღებ რჩევად მიიჩნევენ, აუცილებლად დაფიქრდებიან ამ საკითხზე და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს რჩევებისა და რეკომენდაციებისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:17
დასრულების დრო: 17:32

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "ჯანდაცვის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

- **საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „ჯანდაცვის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

7. მეშვიდე საკითხი: შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 28 ნოემბრის N222 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	

		ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ.თბილისი., 0160, მერაბ ალექსიძის №10
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში აკრედიტაციის დროს გაცმული იქნა ოთხი რეკომენდაცია, აქედან სამი გასცა ექსპერტთა ჯგუფმა, ხოლო ერთი საბჭომ დაამატა სხდომაზე. კერძოდ,

- რეკომენდებულია პროგრამაში გაძლიერდეს ბიზნეს ინგლისურის სწავლების კომპონენტი, რაც დაეხმარება სტუედნტებს პროგრამაში ჩართულ ინგლისურენოვან ლიტერატურასთან მუშაობაში - უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს ინგლისური ენის სწავლების მიმართულებით. სტუდენტებს თავაზობს ინგლისური ენის სწავლებას პირველი ოთხი სემესტრის განმავლობაში და ბიზნეს ინგლისურის სწავლების კომპონენტის გაძლიერებას ახდენს ცალკეული პროფილური საგნების ფარგლებში პრეზენტაციების ინგლისურ ენაზე წარმოდგენით და კურსის წამყვანი პროფესორების ინტენსიური კონსულტაციებით. გამომდინარე აქედან, აღნიშნული რეკომენდაციის მიზანი უპირატესად შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს;
- რეკომენდებულია გასწორდეს პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსებში კურსზე დაშვების წინაპირობები, კერძოდ ორივე სილაბუსში დაშვების წინაპირობად მითითებულია ჩანაწერი: „სფეროს თეორიული ცოდნა," რაც ზოგადია და ვერ იძლევა კონკრეტული კრედიტების (სასწავლო კურსების) იდენთიფიცირების საშუალებას. ასევე, პრაქტიკის სილაბუსში შასასწორებელია პროგრამის დასახელება „სამართალი" ბიზნესის ადმინისტრირებით - აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია, კერძოდ პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსებში დაკორექტირებულია კურსზე დაშვების წინაპირობები;
- რეკომენდებულია პრაქტიკის კომპონენტი სავალდებულო გახდეს იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც არ მუშაობენ ან მათი სამუშაო არ შეესაბამება პროგრამის პროფილს - აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება არ იზიარებს და არგუმენტაციის სახით მოყავს, რომ ცალკეულ სასაწავლო კომპონენტებთან მიმართებაში ცალსახად არის წარმოდგენილი პრაქტიკის ნიუანსები;

- „ბიზნესის სამართლის“ სილაბუსში დაემატოს კონკურენციის და მომხმარებელთა უფლებების შესახებ თემები. ასევე, გასწორდეს და განახლდეს აღნიშნული სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა - რეკომენდაციის შესაბამისად ლიტერატურის განახლების ნაწილში დაკორექტირებულია ,,ბიზნეს ინგლისურის“ სასწავლო კურსის სილაბუსი წარმოდგენილია 2018-2019 წლების ლიტერატურა, თუმცა კონკურენციის და მომხმარებელთა უფლებების თემატიკის დამატების ნაწილი ბუნდოვანია.

ექსპერტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ 4 რეკომენდაციიდან დაწესებულებამ 2 შეასრულა, ერთს არ ეთანხმებიან და ერთი იწვევს კითხვის ნიშნებს.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ყურადრებას გაამახვილებს მხოლოდ პრაქტიკის კომპონენტსა და ინგლისურენოვან კომპონენტზე, ინგლისურენოვან კომპონენტთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ ეს არის GAU-ს ნიშა დარგობრივი ინგლისური ენის სწავლება და პირველ აკრედიტაციაზე ზუსტად ეს იყო ხარვეზი, მათთვის გაუგებარი იყო რატომ ასწავლიდა დაწესებულება ამ დონით ინგლისურ ენას და ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები, 4 სემესტრად არის ინგლისური წარმდგენილი და ამან მიიქცია ყურადღება, ინგლისური ენის სასწავლო კურსი არ არის წარმოდგენილი 6 სემესტრად, რადგან ამას ემატება, როცა ისწავლება ფინანსების სწავლებას და შედის ინგლისურენოვანი ლიტერატურა, თავისთავად თვითონ კონსულტაცია და განმარტება ტერმინოლოგიის, როცა მათ ორ სემესტრად დარგობრივი ინგლისური ენა ნასწავლი აქვთ, მერე უკვე აღარ უჭირთ ინგლისური ენის ათვისება.

რაც შეეხება პრაქტიკის კომპონენტს, დაწესებულებამ ძალიან ბევრი იფიქრა, რადგან სამაგისტრო პროგრამაც გადის პარალელურად ანგარიშზე მასშიც იგივე ჩანაწერია. მათი სტუდენტების უმეტესობა დასაქმებულია ხოლმე და საკუთარი პროფესიით მუშაობენ, შესაბამისად ისინი ითხოვენ, რომ დაწესებულებამ პრაქტიკა სავალდებულოდ არ ჩაუსვას, რადგან პროფილით მუშაობენ და ამას ამოწმებს დაწესებულება და ვინც არ არის დასაქმებული პროფილით მას უშვებენ პრაქტიკაზე და ვინც მუშაობს არა. ანალოგიურ მოდელზე იფიქრეს ბაკალავრიატშიც, თუმცა შემდეგ პროგრამის განვითარების კომისიამ რომ იმსჯელა, საბოლოოდ აირჩიეს მიმართულება სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს წევრები ალბათ ნახავდნენ დაწესებულების მემორანდუმებს, საბანკო სივცესთან და სისტემასთან აქვთ დიდი თანამშრომლობა, III-IV კურსზე მათ მიჰყავთ სტუდენტები სტაჟირებაზე ან პირდაპირ ასაქმებენ, პროგრამაში ფინანსური მიმართულებაა ძალიან განვითარებული, აქედან გამომდინარე პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით აირჩიეს სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა, რომელიც დიდი დოზით არის წარმოდგენილი, ასევე პროგრამის განმახორციელებელ პერსონალში ძალიან ბევრია პრაქტიკოსი მუშაკი, პროგრამას დაემატა ძალიან ბევრი სასწავლო კურსი, მაგ., „სტარტ-აფი“.

ბიზნესის სკოლის დეკანის მოადგილემ და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პრაქტიკული კომპონენტისადმი მათი მიდგომა არის განსაკუთრებული, მათ გადააკეთეს პროგრამა, ისეთ სტილში, რომ პრაქტიკული უნარები გამომუშავებული იყოს, რაც შეიძლება ახლოს იმ სამუშაო ვითარებასთან, რომელშიც მომავალში აღმოჩნდებიან. პრაქტიკულად, სტუდენტები რომ დაამთავრებენ სწავლას ეგრევე მზად იყვნენ მუშაობისთვის და არ დასჭირდეთ დამატებითი ტრენინგი, ამისთვის დაწესებულებას აქვს სპეციაური კურსები, დაწყებული საინფორმაციო ტექნოლოგიებიდან, დამთავრებული პროექტების მენეჯმენტით, რომელიც არის ძირითადი კურსი ბაკალავრიატის, სადაც არის მოცემული ტრენინგ-პროგრამები და ამისთვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს 3

კომპიუტერული ლაბორატორია, რაც სავსებით საკმარისია. კურსების 30%-ზე მეტი ტარდება აღნიშნულ ლაბორატორიებში, სადაც სტუდენტს აძლევენ ყველა იმ საჭირო კომპონენტს, რაც არის მოწინავე მთელ მსოფლიოში, დაწყებული MYSAP-ის სხვადასახვა კომპიუტერული უზრუნველყოფით, მთელი „რენჯი“, ანუ ეს არის მოწინავე პროგრამული უზრუნველყოფა, რაშიც მუშაობს მთელი ბიზნესი, დაწყებული საბუღალტრო პროგრამებით, დამთავრებული კადრების განყოფილებით, ანუ პრაქტიკულად აცნობენ ამ აპლიკაციებს სტუდენტებს, რაც ყველაზე მთავარია ეს მოწინავე გამოცდილება სტუდენტებს შეუძლიათ უფრო დახვეწონ პარტნიორ ორგანიზაციებში, ერთ-ერთი ძირითადი არის TBC ბანკი, თუ სტუდენტებს აქვთ სურვილი შეუძლიათ დამატებითი პრაქტიკა გაიარონ, ასევე აღნიშნავს, რომ დასაქმების დონე არის ძალიან მაღალი დაახლოებით 95% - IV კურსზე უკვე მუშაობს და მათი მოცდენა პრაქტიკით დაწესებულებას არ მიაჩნია სწორად, ამიტომ პრაქტიკა გახადეს არჩევითი კომპონენტი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ კითხვები ან მოსაზრებები არსებობის შემთხვევაში.

დიმიტრი გეგენავამ განაცხადა, რომ მათი ბიზნეს სამართლის სილაბუსი ძალიან ჰგავს საკორპორაციო სამართლის სილაბუსს და აინტერესებს რამ განაპირობა ასეთი მსგავსება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს არ არის მხოლოდ საკორპორაციო სამართალი მათ გადაიტანეს სამეწარმეო სამართალი, გაკოტრება-გადახდის, რეაბილიტაციის სამართალი და ასევე, სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის მექანიზმები და პასუხისმგებლობა, სადაც ასევე ჩასმულია კონკურენციის სამართალი და მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხები, რომლებიც სილაბუსში გამორჩენილია და გადაგზავნილში არ არის შესული, ასევე ლიტერატურაც არის გამორჩენილი, მოაზრებულია საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“, საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოების შესახებ“, თავისუფალი მიმოქცევის და ა.შ.

დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ აქ არის გამორჩენილი აღწერა და სილაბუსში ლიტერატურა, რადგან ი. ბურდულის „სააქციო საზოგადოების“ I ტომი, რომელიც მითითებულია ამ საკითხებს ვერ დაფარავს, უნდა იყოს კონკურენციის სამართალზე თვითონ კონკურენციის სააგენტოს „გაიდლაინები“, წიგნიც არის ქართულად, ინგლისურად მითუმეტეს, ასევე გადახდის უუნარობაზე ერთი თემაა მხოლოდ, რეალურად 13 თემიდან 10 მოიცავს ამ თემას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ წარდგენილი ჰქონდათ პროგრამა და თავისთავად აკრედიტაციის საბჭოც უკვე ჩატარებული იყო, როდესაც ბიზნეს სამართალთან მიმართებაში შეიცვალა მიდგომა. ბიზნეს სამართალი, როგორც სასწავლო კურსი მოცულობითად მიიჩნია წინა საბჭომ და კონფერენციაზზე სხვათაშორის აკრედიტაციის საბჭოს წევრები გამოდიოდნენ და აღნიშნეს, რომ იმ წელს წარდგენილ ყველა სასწავლო პროგრამაზე იყო ბიზნეს სამართლის კურსი. შემდეგ ისაუბრეს რას მოიცავს სამართლის კურსი, აქედან გამაომდინარე დაწესებულებამ გაითვალისწინა ირაკლი ბურდულის რჩევები ბიზნეს სამართლის კურსთან დაკავშირებით, აკრედიტაციის საბჭო დეკემბრის დასაწყისში იყო, და მათ შეიტანეს ის ცვლილებები რაც ირაკლი ბურდულმა ურჩიათ და რამდენიმე დღის წინ ცენტრსაც ეცნობა, რომ ეს კურსი ჩანაცვლდა „სამეწარმეო სამართლის შესავლით“, რადგან ეს გაუგებრობები იქნას აცილებული.

დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ მას ძირითადი პრობლემა ზუსტად კურსის შინაარსთან და სახელწოდებასთან ჰქონდა, თუმცა გადაწყვეტილება, რომელიც დაწესებულებამ მიიღო საბჭოს წევრისთვის გაცილებით უფრო სარისკოდ აღიქმევა, რადგან უფრო რთულია „სამეწარმეო

სამართლის შესავლის“ წაკითხვა. თუმცა ვერ ხედავს პრობლემას ეს კურსი საერთოდ, რომ არ ისწავლებოდეს, რადგან ვინც ბიზნეს ადმინისტრირებაზე სწავლობს საბოლოო ჯამში მაინც ვერ გამართავს დოკუმენტაციას.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს პოზიციას, რომ მეთოთხმეტე ლექციაში კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების ნაწილი თავის სახელმძღვანელოებთან და საკანონმდებლო ბაზასთან ერთად აისახება სილაბუსში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:55
დასრულების დრო: 20:00

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

8. მერვე საკითხი: შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 5 დეკემბრის N228 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	

9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ.თბილისი., 0160, მერაბ ალექსიძის №10
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაში გაცემული იყო 4 რეკომენდაცია, ესენია:

- პრაქტიკის სილაბუსში გასწორდეს პრაქტიკის კომპონენტის სტატუსი, კერძოდ „არჩევითის“ ნაცვლად მიეთითოს „სავალდებულო“ და დაზუსტდეს პრაქტიკის წინაპირობა, ვინაიდან სილაბუსში წინაპირობად მითითებული ჩანაწერი „სფეროს თეორიული ცოდნა“ არ იძლევა კონკრეტული სასწავლო კურსების იდენტიფიცირების შესაძლებლობას - აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია, კერძოდ დაკორექტირებულია პრაქტიკის კომპონენტსი სტატუსი და დაშვების წინაპირობა;
- პროგრამის კურიკულუმში უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მაგისტრატურის დებულების მიხედვით დაზუსტდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წინაპირობა. ასევე, ჩასწორდეს სამაგისტრო პროგრამაში მითითებული ჩანაწერი „სამაგისტრო ნაშრომი ფასდება სასწავლო კურსის შეფასების სისტემით“ და შესაბამისობაში მოვიდეს ფაკულტეტზე არსებულ მაგისტრატურის დებულებაში განსაზღვრულ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესთან - აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია, კერძოდ დაზუსტებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წინაპირობა და დაკორექტირებულია ნაშრომის შეფასების წესი დებულების შესაბამისად;
- „აკადემიური წერის“ სილაბუსში მითითებული კურსის სტატუსი „არჩევითი“ შეიცვალოს „სავალდებულოთი“ - აღნიშნულ რეკომენდაცია შესრულებულია, კერძოდ დაკორექტირებულია „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსის სტატუსი;
- პროგრამაში ბიზნესის კვლევის მეთოდები შეთავაზებული იქნეს დამოუკიდებელი კურსის სახით, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსებში კვლევის მეთოდების გარკვეული საკითხებია წარმოდგენილი - აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია, კერძოდ პროგრამაში შემოთავაზებულია ბიზნესის კვლევის მეთოდები დამოუკიდებელი კურსის სახით.

ექსპერტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საბოლოო ჯამში ოთხივე რეკომენდაცია შესრულებულია, ასევე წარდგენილია ანგარიში რჩევებთან დაკავშირებით და შესრულებულია რჩევების ძირითადი ნაწილიც.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დასამატებელი არაფერია და მადლობა გადაუხადა ექსპერტსა და საბჭოს წევრებს დროის დათმობისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ კითხვები ან მოსაზრებები არსებობის შემთხვევაში.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ განმარტა, რომ ქართულ რეალობაში ცოტა ძნელია წინასწარ განისაზღვროს რა მიმართულებით მუშაობს სტუდენტი, თუ დაწესებულება სფეროდ მარკეტინგს, მენეჯმენტს და ფინანსებს გულისხმობს ცოტა ძნელი იქნება მათთვის ამის დარეგულირება. ამას ჯობია პრაქტიკაში გაიწეროს რა საგანი უნდა ჰქონდეს სტუდენტს გავლილი, რადგენ ეს აბსტრატულია. მისი აზრით მაგისტრატურაში საერთოდ არ უნდა იყოს პრაქტიკა, ჯობია იყოს ინტეგრირებული პრაქტიკა ზოგიერთ საგანში და სტუდენტი ეძებდეს პრაქტიკას. ის დაინტერესდა პირველ სემესტრშიც შეუძლია თუ არა სტუდენტს პრაქტიკის გავლა, თუ რომელიმე კონკრეტულ ვიწრო სფეროში უნდა გაიაროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რჩევა მიღებულია და აუცილებლად გაითვალისწინებენ. აღნიშნა, რომ პრაქტიკა მესამე სემესტრშია და აქედან გამომდინარე წინაპირობად მითითებულია პირველი ორი სემესტრის საგნები.

საბჭოს წევრმა იკითხა, რომ, თუ მაგ., სტუდენტმა მეორე სემესტრის ისეთი საგნები გაიარა, რომელიც საშუალებას აძლევს, რომ კონკრეტულ ორგანიზაციაში იმუშავოს და აქვს ის ცოდნა და იპოვა ის სამუშაო, ჩაეთვლება თუ არა მას ეს პრაქტიკაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი არ ზღუდავენ სტუდენტებს.

საბჭოს წევრმა განმარტა, რომ სტუდენტისთვისაც და დაწესებულებისთვისაც უფრო მოქნილი იქნება, რომ ასე გააკეთონ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზუსტად ასე აკეთებენ, უბრალო პირობითად მითითებულია მესამე სემესტრი, იმ სტუდენტებისთვის, ვისაც საერთოდ არ აქვს სამუშაო გამოცდილება, თუ ის წარმოადგენს ცნობას, რომ პროფილით მუშაობს მისთვის უკეთესია, რადგან უმჯობესია თავიდანვე მუშაობდეს და შემდეგ დაამატოს თეორიული ცოდნა/გამოცდილება თავის პრაქტიკულ გამოცდილებას, ამიტომ არ ზღუდავენ, შუეძლია გაიაროს საგნად, ან თვითონ მოიძიოს და წარადგინოს ცნობა.

საბჭოს წევრი დაინტერესდა რა საგნებს სთავაზობს დაწესებულება სტუდენტს პარქტიკის ალტერნატივად.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თუ სტუდენტს უკვე აქვს პრაქტიკა, ეს ნიშნავს, რომ მას შუძლია გაიღრმავოს თავის სპეციალურ საგნებში ცოდნა, მაგ., მარკეტინგში, მენეჯმენტში და ფინანსებში, ეს დაახლოებით არის 21-მდე არჩევითი საგანი, დაწესებულება არ ზღუდავს სტუდენტებს, რომ მხოლოდ მათ უნივერსიტეტში აირჩიონ, ასევე არის თავისუფალი კომპონენტი და მათ შეუძლიათ, მაგ., უცხოეთში გაიარონ ის საგანი და წარმოადგინონ ცნობა. თუ შესაბამისი დონის კურსი გაიარა და წარადგინა შესაბამისი ცნობა დაწესეულებისთვის ეს მისაღებია და შესაბამისად უღიარდება კრედიტები.

საბჭოს წევრი დაინტერესდა რამდენ კრედიტიანია პრაქტიკა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით პრაქტიკა არის 12 კრედიტიანი, რაც შეესაბამება ორ საგანს.

საბჭოს წევრმა მანანა კევლიშვილმა განმარტა, რომ მისთვის ბუნდოვანია მეორე რეკომენდაცია, დაწესებულებას უწერია, რომ შესრულებული უნდა ჰქონდეს პროგრამით გათვალსწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კომპონენტი და დაგროვილი უნდა ჰქონდეს 70 ან მეტი კრედიტი. საბჭოს წევრი აღნიშნავს, რომ კურიკულუმის მიხედვით 20 კრედიტი აქვთ სამაგისტრო ნაშრომს და 70 რას გულისხმობს, ეს ორი, რომ შეიკრიბოს 90 გროვდება ჯამში და რა არის ნაგულისხმევი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იგულისხმება ძირითადი საგნები, რომლებიც გათვალისწინებულია, ნაგულისხმევი არ არის ნაშრომი, რომელიც დამატებით 20 კრედიტია. ასევე დამატებით არის არჩევით სასწავლო კურსებიც.

საბჭოს წევრმა დააზუსტა, შეუძლია თუ არა სამაგისტრო ნაშრომის დასვაზე სტუდენტს გავიდეს არჩევითი კურსების გავლის გარეშე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აუცილებელია ყველა სავალდებულო საგანი ჰქონდეს გავლილი, დანარჩენი არჩევითები კი შეუძლია პარალელურად დიპლომზე მუშაობისას გაიაროს.

დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ ვინაიდან სწავლის შედეგების მიღწევაში სავალდებულო საგნები იგულისხმება ამიტომაა, რომ ჰიპოთეტურად შეუძლია, აქ ისეთი შემთხვევებიცაა რომ შესაძლებელია მოუცლელობის გამო გაიწელოს სწავლა, ან რეჟიმის გამო შეიძლება გაიწელოს კიდეც სწავლა, ჯერ გაიაროს სავალდებულოები და შემდეგ გაიაროს არჩევითები, ან არჩევითთან ერთად გაიაროს სამაგისტრო. ლავირების საშუალებას უტოვებს სტუდენტს დაწესებულება ისე, რომ პროგრამის მიზნები და შედეგები არ შეიცვალოს.

საბჭოს წევრმა დამაზუსტებელი შეკითხვა დასვა შეუძლია თუ არა სტუდენტს ერთად გაიაროს სამაგისტრო ნაშრომი და არჩევითი საგნები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შეუძლია, თუმცა მინისტრის ბრძანების შესაბამისად არ უნდა გადაცდეს 75 კრედიტს.

საბჭოს წევრმა განმარტა, რომ დარჩენილია 50 კრედიტი და ამიტომ იკითხა.

დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ ჩვეულებრივად ბოლო სემესტრში გაივლის სამაგისტროს და ერთ საგანს მასთან ერთად, თუ არასტანდარტულად მიდის შესაძლებელია, მაგ., გაზაფხულის სემესტრში სამაგისტროს დაცვა მოუწიოს და შემოდგომაზე რამდენიმე საგანი დარჩეს, რაც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებზე, ბიზნესში და ა.შ გავრცელებული პრაქტიკაა.

დაწესებულების წარმომადგეენლმა ასევე დაამატა, რომ სტუდენტი სავალდებულო კურსებითა და სამაგისტრო ნაშრომით გადის შედეგზე.

საბჭოს წევრმა რომეო გალდავამ იკითხა ენიჭებათ თუ არა კვალიფიკაცია, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კვალიფიკაცია მხოლოდ 120 კრედიტზე ენიჭებათ.

დიმიტრიგეგენავამ აღნიშნა, რომ შესაძლებელია 2-3 წელი გაგრძელდეს, რადგან კიდევ ერთ მომენტია, სოციალური თემა - ჯარი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულება ამას არეგულირებს, რომ ჯარის გამო ერთი საგანი არ დაიტოვოს სტუდენტმა, რადგან ყოფილა ამის მცდელობა, მაგრამ არ გაუთვალისწინებია დაწესებულებასს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:04
დასრულების დრო: 18:08

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დაიხურა 18:06 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა